პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 30 მარტი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 72 (2720)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ვარშავაში ნერვიული მდგომარეობაა მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით.
— ჰააგის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.
— მთავრობის შედგენა გერმანიაში მიენდო ცენტრის ლიდერს ბრიუნინგს.
— შეტაკება ნაციონალისტებსა და პოლიციას შორის ინდოეთში.
— წითელი რაზმების ახალი გამარჯვება ჩინეთში.
— ინდოჩინელ სტუდენტების დემონსტრაცია პარიზში.
— აფეთქება დასავლეთ-ვირგინიას (ამერიკა) მაღაროებში.— დაიღუპა 12 მუშა.

დღეს, 30 მარტს,
გაზ. „კომუნისტი"-ს მთ. კანტორა
(რუსთაველის პროსპ. № 34)
ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად
დილის 9 საათიდან 4 საათამდე

გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლად

ერთი წელია მას შემდეგ, რაც სოციალისტური შეჯიბრების ლოზუნგი იქნა გადმოსროლილი და მან უკვე მოიცვა საბჭოთა კავშირის მთელი პროლეტარიატი. ის შეიჭრა ყოველ ქარხანაში, ფაბრიკაში, საამქროში. მუშათა ბრიგადების სახით ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში საფუძველი ჩაეყარა ახალ, კომუნისტურ შრომის ფორმას, მუშათა დამკვრელ ბრიგადებში ჰპოვა გამოხატულება პროლეტართა მრავალმილიონიან მასების შრომითმა ენტუზიაზმმა. მუშათა დამკვრელი ბრიგადები, დამკვრელი საამქროები, დამკვრელი ფაბრიკა-ქარხნები შესაძლებლად ხდიან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასახულ მაღალი ტემპების განხორციელებას.

სამრეწველო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ბრძოლა დანაკარგებთან, თვითღირებულების შემცირება და სხვ. — აი რა მოუტანა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მრეწველობაში, აი საითკენაა მუშათა ბრიგადების და ყველა შეგნებული მუშის მთელი ყურადღება მიპყრობილი. სოციალისტური შეჯიბრება ინდუსტრიიდან შეიჭრა კოოპერაციაში, სამეურნეო და სახელმწიფო აპარატში, სასწავლებლებში და სხვაგან. ყველგან ის თავის დადებით შედეგს იძლევა, ყველგან ამ უდიდესმა ლოზუნგმა აამოძრავა მასები, გაამახვილა მშრომელთა ყურადღება სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისადმი.

მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალისტური შეჯიბრება დღემდე თითქმის არ შეხებია სოფელს, ის არ გახდარა ჯერ კიდევ თვით საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში მუშაობის მეთოდი. პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ სოფლად არ ყოფილა მიღებული აქამდე უსაჭიროესი ზომები სოციალისტური შეჯიბრების ფართო პოპულარიზაციისათვის, მას არ იცნობს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასა. ამის გამო ჩვენ სოფლის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას ამ სუსტ ფრონტს ვაპყრობთ.

მიმდინარე გაზაფხულზე სოფლად ჩვენ ვისახავთ მიზნად არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა გამტკიცებას, სათესი სივრცის გადიდებას, მოსავლიანობის ზრდას, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მიერ ინდივიდუალურ მეურნეობათათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევას, მანქანა-იარაღების მიზანშეწონილ გამოყენებას, მესაქონლეობის განვითარებას და ყოველივე ამის ნიადაგზე ღარიბ და საშუალო გლეხთა მტკიცე დარაზმვას კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

სოციალისტური შეჯიბრება სწორედ ამ კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ უნდა იქნას ჩატარებული. პარტიულ ორგანიზაციების, საბჭოების, კოოპერაციის, კოლმეურნეობათა და სხვათა თაოსნობით სოციალისტურმა შეჯიბრებამ უნდა აამოძრაოს სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობა და ის ისეთივე პოპულარულ ლოზუნგათ უნდა იქცეს გლეხურ მასაში, როგორც ქალაქათ.

გაზაფხულის კამპანიის უდიდესი ამოცანა — ნათესი სივრცის გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება. ამისთვის კი აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მაქსიმალური გამოყენება, მიწის რაც შეიძლება გულმოდგინეთ დამუშავება და გაწმენდილ და შეწამლულ თესლის დათესვა. სათესი სივრცის გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება აუცილებელია როგორც საბჭოთა და კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნეობებმა სოცშეჯიბრება უნდა განავითარონ როგორც სათესი სივრცის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რათა გაუწიონ ახლომახლო სოფლების ინდივიდუალურ მეურნეობებს ყოველმხრივი დახმარება მიწების მოხვნით, სათესლე მასალის სესხებით და აუცილებელ აგრონომიულ დახმარების აღმოჩენით.

კოლექტიურმა მეურნეობებმა სოცშეჯიბრების მეოხებით უნდა შესძლონ კოლექტივის ყოველმხრივი განმტკიცება, შრომის უკეთ მოწესრიგება, განსაზოგადოებული საქონლის სამაგალითოდ მოვლა-პატრონობა, შრომის დისციპლინის სათანადო სიმაღლეზე დაყენება კოლექტივის წევრთა შორის, სახნავ-სათეს მანქანებით გასვლა საჭიროების დროს კოლექტივების გარეშე მყოფ გლეხების მიწებზე და ფართო მუშაობის ჩატარება კოლექტივიზაციის იდეის გასაღრმავებლად ღარიბ და საშუალო გლეხთა მასაში.

სოცშეჯიბრებამ სათანადო ადგილი უნდა ჰპოვოს საბჭოების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. სოფლის პარტუჯრედებმა სოცშეჯიბრებაში უნდა გამოიწვიონ ერთმანეთი პარტიის წევრთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების უკეთ დარაზმვის, კოლექტივებზე უმჯობესი ხელმძღვანელობის განხორციელების და პარტიული ხაზის დამახინჯებებთან შეუბრალებელ ბრძოლის მიზნით.

სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარებაში უდიდესი ინიციატივა პარტიის და კომკავშირის წევრებმა უნდა გამოიჩინონ, ისინი უნდა გახდნენ ღარიბთა ჯგუფებთან ერთად ამ საქმის წამომწყებნი და მისი გამავრცელებელნი სოფლად.

ისედაც ბევრი დავაყოვნეთ. უმაღლეს პარტიულ ორგანოთა დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების სოფლად გაშლის შესახებ აქამდე ვერ განვახორციელეთ. საჭიროა ფეხზე დადგომა, მუშათა საუკეთესო გამოცდილების გამოყენება, დამკვრელი ბრიგადების შექმნა და სისტემატიური შემოწმება სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე ჩატარებულ მუშაობის ამ დარგში შემჩნეულ ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოსაფხვრელად.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

ვან-ტინ-ვეის განზრახული აქვს პეკინში შექმნას გომინდანის ახალი მთავრობა

იაპონია არ თანხმდება თავისი საზღვაო ძალების არავითარ შეზღუდვაზე

ჰენდერსონის და სოკოლნიკოვის მოლაპარაკება

ლონდონი, 28 მარტი. როგორც „დეილი ჰერალდ"-ი იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრის ჰენდერსონის და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სოკოლნიკოვის მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს (ადს).

პილსუდსკი გარეკვით ემუქრება სეიმს

სეიმის სხდომის გახსნის წინ

ვარშავა, 29 მარტი. მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, მდგომარეობა თანდათან მწვავდება. სეიმის ხვალინდელ სხდომას ყველა დიდის ნერვიულობით მოელის. ლეგიონერები აქვეყნებენ მოწოდებებს, რომლებშიაც მოითხოვენ სეიმის გარეკას (ადს).

ვარშავა, 28 მარტი. პოლონეთში შინაპოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა. მას შემდეგ, რაც იან პილსუდსკის მოლაპარაკებამ ოპოზიციონური პარტიების წარმომადგენლებთან არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. იან პილსუდსკიმ განაცხადა, რომ **შექმნილ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს სეიმის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა.** სიმძიმის ცენტრი გადატანილია სეიმის ხვალინდელ სხდომაზე, რომელსაც პილსუდსკის მომხრეები სთვლიან გამოწვევად ოპოზიციის მხრით. პილსუდსკის მომხრეები იმუქრებიან, რომ სხდომაზე სასტიკად სცემენ ოპოზიციის წარმომადგენლებს.

იაპონია არ მიდის დათმობაზე
საზღვაო ძალების შემცირების საკითხში

ტოკიო, 28 მარტი. უმაღლესი საზღვაო სარდლობის წარმომადგენლები ეწვიენ პრემიერ ხამაგუჩის და განუცხადეს, რომ **იაპონიის ფლოტი ვერავითარ კომპრომისს ვერ დაეთანხმება საზღვაო განიარაღების საკითხში. ხამაგუჩისთან შეხვედრის შემდეგ იაპონიის ფლოტის უმაღლესმა, მრჩეველმა ოკადამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იაპონიის ფლოტს განზრახული არა აქვს იოტის ოდენად შეამციროს თავისი მოთხოვნები.** სეიუკაის პარტიამ (ოპოზიციონური პარტია) გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ **ამერიკის ფლოტის 70 პროცენტი წარმოადგენს იმის მინიმუმს, რაც საჭიროა იაპონიის ნაციონალური თავდაცვისათვის. ეს მინიმუმი დაცულ უნდა იქნას, თუნდაც ამან კონფერენციის ჩაშლა გამოიწვიოს.** (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ენ სი-შანი და ნანკინის მთავრობა

პეკინი, 28 მარტი. ენ სი-შანის მომხრეებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ბიუროს შენობა დაიჭირეს და იქიდან ნანკინის რწმუნებული გააძევეს. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, რეორგანიზაციონისტების ბელადს ვან ტინ-ვეის განზრახული აქვს, ენ სი-შანთან და ფინ იუი-სიანთან ერთად, შეადგინოს გომინდანის ახალი მთავრობა (ადს).

წითელი რაზმების ახალი გამარჯვება ჩინეთში

პეკინი, 28 მარტი. აზიატიკის სააგენტოს ცნობით, კომუნისტურმა ჯარმა, რომელიც ჰდინარე იანძის რაიონში მოქმედებს, დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი სამხედრო-საპოლიციო ძალები. გუანდუნის და ჩჟძიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წითელმა ჯარმა ბევრი ადგილი დაიჭირა (ადს).

დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 28 მარტი. წინასწარი დაპატიმრებების მიუხედავად, ინდო-ჩინელი სტუდენტობის სახლის გახსნის დროს პარიზში ინდოჩინელმა **რევოლიუციონერმა სტუდენტებმა პრეზიდენტ დუმერგისა და კოლონიების მინისტრის პეტრის თვალწინ გამართეს პოლიტიკური დემონსტრაცია და გამოფინეს ანტიიმპერიალისტური პლაკატები. სტუდენტები გაიძახოდნენ: „გაანთავისუფლეთ ინდო-ჩინელი პოლიტპატიმრები", „ძირს იმპერიალისტები, ექსპლოატატორები და მკვლელები"-ო.**
პოლიციამ რამოდენიმე დემონსტრანტი დააპატიმრა (ადს).

გადადგა
ირლანდიის მთავრობა

ლონდონი, 28 მარტი. ირლანდიის მთავრობა გადადგა. (ადს).

მდგომარეობა ინდოეთში

განდის ახალი ფანდები

ლონდონი, 28 მარტი. განდიმ დაამტკიცა სრულიად ინდოეთის კონგრესის კომიტეტის ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ ყველა პროვინციებში ერთდროულად დაიწყოს მარილის კანონის დარღვევის კამპანია, მაგრამ ამავე დროს შეიტანა წინადადება—გადაიდოს ადგილობრივი ადმინისტრატიული დადგენილებებისა და ტყის კანონების დარღვევა (ადს).

დაპატიმრებანი კალკუტაში

ლონდონი, 28 მარტი. კალკუტაში დააპატიმრეს 26 სტუდენტი, რომელთაც ყუმბარების დამზადებას აბრალებენ (ადს).

შეტაკებები ნაციონალისტებსა და პოლიციელებს შორის

ლონდონი, 28 მარტი. მოხდა შეტაკება ნაციონალისტების მოხალისეებსა და პოლიციელებს შორის. პოლიციამ მოხალისეებს წაართვა ეროვნული დროშა და დააპატიმრა 6 კაცი.

მოხალისეების დიდი ჯგუფი შეიჭრა სასამართლოს შენობაში ყვირილით—„გაუმარჯოს რევოლიუციას". დააპატიმრეს 3 მოხალისე (ადს).

ლიბერალები და საქვანახშირო კანონპროექტი

ლონდონი, 28 მარტი. ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციამ განიხილა მთავრობის დათმობანი და დაადგინა—არ მისცეს ხმა კანონის წინააღმდეგ. მაშასადამე, უზრუნველყოფილია, რომ თემთა პალატა მიიღებს კანონს (ადს).

პროფოპოზიციის ახალი გამარჯვება გერმანიაში

ბერლინი, 28 მარტი. რურის ოლქში პროფოპოზიციამ ახალი გამარჯვება მოიპოვა. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია არჩევნების შედეგები 39 მაღაროში, სადაც პროფოპოზიციამ მიიღო 23.000 ხმა (გასულ წელს — 14.000), რეფორმისტებმა — 18.000 ხმა (შარშან 21.000), ქრისტიანებმა—14.000 (შარშან 11.000).

ეკონომიური მდგომარეობა ჩრდილოეთ მანჯურიაში

ხარბინი, 28 მარტი. ჩრდილოეთ-მანჯურიის ეკონომიური მდგომარეობა წინანდებურად მძიმეა და მსოფლიო კრიზისი მაზედაც ახდენს გავლენას. მდგომარეობის გაურკვევლობა, რომელსაც ჰქმნიან ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის გადადება, ჩინეთის მოღვაწეთა შეუთანხმებელი გამოსვლები და ჩინური გაზეთების უპასუხისმგებლო განცხადებები, ხელს უწყობენ ბაზარზე მერყევი მდგომარეობის გაგრძელებას. საექსპორტო და საიმპორტო ბაზრებზე სიწყნარეა, გარდა საბჭოთა პროდუქციისა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. ეს მოთხოვნილება დაგროვდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის განმავლობაში (ადს).

ჰააგის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხი

პარიზი, 28 მარტი. დეპუტატთა პალატა შეუდგა ჰააგის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვას. ბევრი ორატორი მოითხოვდა ამ საკითხის განხილვას აუცილებლად ბრიანის თანდასწრებით. ტარდიემ განაცხადა, რომ ბრიანმა ამჟამად მონაწილეობა უნდა მიიღოს ლონდონის კონფერენციის მუშაობაში, ვინაიდან ჰააგის შეთანხმებათა საკითხის ირგვლივ მთავრობაში სრული ერთსულოვნებაა. პალატაში ატყდა წარმოუდგენელი ხმაურობა. ტარდიემ დასვა ნდობის საკითხი. პალატამ 319 ხმის უმრავლესობით 262-ის წინააღმდეგ უარჰყო კამათის გადადება ბრიანის დაბრუნებამდე (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მსხვილი კაპიტალის დიქტატურა

ბერლინი, 29 მარტი. ჰინდენბურგმა წინადადება მისცა ცენტრის პარტიის დეპუტატს **ბრიუნინგს** — შეადგინოს მთავრობა. ამავე დროს ჰინდენბურგმა მიუთითა მას, რომ, **პარლამენტის მდგომარეობის გართულების გამო, მთავრობის შედგენაა. კოალიციის საფუძველზე მიზანშეწონილი არ არისო.** ბრიუნინგმა წინადადება მიიღო.

ბერლინი, 29 მარტი. აბსოლუტური უმრავლესობისათვის რეიხსტაგში საჭიროა 247 მანდატი. ბურჟუაზიული უმრავლესობის მთავრობის შესადგენად ბრიუნინგს სჭირდება ნაციონალისტების 40 მანდატი.. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთა იუნგის გეგმის მიღების შემდეგ მთავრობას არ დაუჭერს მხარს, რადგან ნაციონალისტები იბრძოდნენ ამ გეგმის წინააღმდეგ. სახალხო პარტიის და ცენტრის გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუ ბრიუნინგმა ვერ შეაგროვა უმრავლესობა, გამოყენებულ უნდა იქნას კონსტიტუციის მე-48 პარაგრაფი, რომელიც მთავრობას დიქტატორულ უფლებებს ანიჭებს სასწრაფო საფინანსო საკითხების გადაჭრისათვის.

„როტე ფანე" აღნიშნავს, რომ **მიულერის მთავრობა სამარცხვინოდ დამარცხდა. ბურჟუაზიამ გააძევა სოციალ-დემოკრატი მინისტრები. სიმძიმის ცენტრი უფრო მეტად იხრება მარჯვნივ. ვინც არ უნდა შევიდეს კოალიციურ მთავრობაში, სოციალ-დემოკრატია აქტიურად დაუჭერს მხარს ყოველ რეაქციონურ თავდასხმას, საფინანსო კაპიტალის ყოველ სურვილს, რადგან სოციალ-დემოკრატია მჭიდროდ და სამუდამოდ არის დაკავშირებული კაპიტალისტურ სახელმწიფო აპარატთან, რაც მან დაამტკიცა ჯავშნოსნების აგებით, წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვით, მასიური გადასახადების შემოღებით, მუშების დახვრეტით და სხვ.** (ადს).

გერმანიის მთავრობას სურს შეარბილოს

ბავარიის პრემიერის ანტი-საბჭ. მოქმედებით გამოწვეული შთაბეჭდილება

ბერლინი, 28 მარტი. „ბავარ. კურიერ"-ის ცნობით, საბჭოთა მთავრობამ თავის ბერლინელი ელჩის საშუალებით მიუთითა გერმანიის მთავრობას იმაზე, რომ ბავარიის პრემიერმა გელდმა მონაწილეობა მიიღო მიუნხენში კათოლიკების მიერ გამართულ ანტისაბჭოთა კრებაში. საბჭოთა ელჩის განცხადება ეცნობა ბავარიის მთავრობას, ხოლო გელდს წინადადება მიეცა განაცხადოს, რომ იგი დაესწრო ამ კრებას არაოფიციალურად და არა როგორც მთავრობის მეთაური (ადს).

ევროპის მშრომელ გლეხთა კონგრესი

ამხ. მილიოლის მოხსენება

ბერლინი, 29 მარტი. ევროპის მშრომელი გლეხობის კონგრესზე, პოლონეთის დელეგატების სიტყვის შემდეგ, იტალიის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა **მილიოლიმ** გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ფაშიზმი და გლეხთა მოძრაობა". მილიოლის სიტყვით, მშრომელმა გლეხობამ ხელი უნდა შეუშალოს იმას, რომ სასიკვდილოთ განწირულმა კაპიტალიზმმა გამოიყენოს გლეხები სამრეწველო პროლეტარიატის წინააღმდეგ კაპიტალისტური რეჟიმის პოლიტიკური სტაბილიზაციის სასარგებლოდ. **„გამოცდილება ცხადჰყოფს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — რომ ფაშიზმს არ ძალუძს შეაჩეროს კაპიტალისტური სისტემის კრიზისის თანდათანი გამწვავება. მშრომელი გლეხობა თანდათან ითვისებს იმ აზრს, რომ ლოზუნგი „მიწა გლეხებს" შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მთელი სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებით.** საბჭოთა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ განსაკუთრებული გავლენა უნდა მოახდინოს კაპიტალისტური ევროპის გლეხთა მასებზე. ამ კოლექტივიზაციას უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს. ანტისაბჭოთა ომის საფრთხე იზრდება სწორედ **საბჭოთა** სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდეს წარმატებათა გამო".

მილიოლის მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მუშების წარმომადგენელმა ბეისტერმა. ორატორმა აღნიშნა, რომ კონგრესზე წარმოდგენილ ქვეყნებში ითვლება 15 მილიონზე მეტი უმიწა [illegible] გლეხი. **ისინი კულაკებისა და მემამულეების ექსპლოატაციას განიცდიან და საშინელ პირობებში სცხოვრობენ. იმ მომენტში, როდესაც გერმანიის ხელისუფლება ეხმარება საბჭოთა კავშირიდან წასულ გერმანელ კულაკ-კოლონისტებს, რამოდენიმე ასი ათასი გერმანელი გლეხი იძულებულია გერმანიიდან გადასახლდეს.** სასოფლო-სამეურნეო მუშების სახელით ბეისტერმა მოუწოდა მშრომელ გლეხობას—მხარი დაუჭიროს სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის ბრძოლას, ამასთან აღთქმა დადო, რომ სოფლის პროლეტარები თავის მხრივ დახმარებას გაუწევენ მშრომელ გლეხობას. კონგრესმა გადაწყვიტა — დღის წესრიგში შეიტანოს საკითხი საბჭოთა გლეხობის მდგომარეობის შესახებ. კამათის დროს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის გლეხთა კავშირის დეპუტატის **დრაგნევის** სიტყვამ. ორატორმა აღნიშნა, რომ ბულგარეთში მომხდარ ამბებიდან საჭიროა გამოყვანილ იქნას შემდეგი ძირითადი დასკვნა: **ვინც უარყოფს კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, იგი აუცილებლად დამარცხდება.**

იმის დასადასტურებლად, რომ არსებობს კავშირი ფაშიზმსა და ანტისაბჭოთა ომის საფრთხეს შორის, დრაგნევმა დაასახელა სტამბულიისკის საიდუმლო ცნობა იმის შესახებ, რომ, როდესაც სტამბულიისკი ხელისუფლების სათავეში იდგა, ინგლისმა ოფიციალური წინადადება მისცა ბულგარეთს — შემოერთებოდა ანტისაბჭოთა ბლოკს, რაც სტამბულიისკიმ უარჰყო. ამის შემდეგ მალე ფაშისტური გადატრიალება მოხდა (ადს).

კამათი ამხ. მილიოლის მოხსენების გარშემო

ბერლინი, 29 მარტი. კამათის დროს გამოსულმა ორატორებმა გამოააშკარავეს, რომ **მათ სავსებით შეგნებული აქვთ მშრომელი გლეხობისა და პროლეტარიატის მჭიდრო კავშირის საჭიროება იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია აგრარული ბურჟუაზიის, ფინანსიური კაპიტალის, ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირისა და მუშურ-გლეხური მთავრობის დასაცავად.**

სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის, საბერძნეთის და უნგრეთის გლეხთა დელეგატები, მთავრობის რეპრესიების გამო, ვერ დაესწრნენ კონგრესს. დასავლეთ ბელორუსიის ორი დელეგატი გზაში დააპატიმრეს. საფრანგეთის 7 დელეგატს არ მისცეს ყრილობაზე დასწრების ნებართვა. დელეგატთა 70 პროცენტი მშრომელი გლეხები არიან. დანარჩენნი არიან გლეხთა დეპუტატები პარლამენტებში ან გლეხთა ორგანიზაციების აქტიური მუშაკები. კონგრესის მონაწილეთა სამ მეოთხედზე მეტი უპარტიოა (ადს).

საფრანგეთში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა კონფერენცია

პარიზი, 28 მარტი. ტულუზაში გაიმართა კომპარტიისა და უნიტარული პროფკავშირების ადგილობრივი ორგანიზაციების კონფერენცია წყალდიდობის დროს დაზარალებულ მუშებისა და გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის განსახილველად. კონფერენციამ დაადგინა აპრილში, მოიწვიოს წყალდიდობის დროს დაზარალებული მუშებისა და გლეხების ორი კონფერენცია ლოზუნგით: მუშათა და გლეხთა დახმარების კომიტეტის ორგანიზაცია, პირველ რიგში დაზარალებული მშრომელი მოსახლეობის უზრუნველყოფა (ადს).

კოლექტივიზაციის მიმდინარეობა მოსკოვის ოლქში

ს.კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია

მოსკოვი, 29 მარტი. **ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა ამხ. ბაუმანის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს ხაზის გამრუდების მთელ რიგ შემთხვევებს კოლექტივიზაციის გატარების საქმეში. პლენუმი მიუთითებს, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაციის დაბნევა და მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებისათვის წარმოებულ აქტიურ მუშაობაზე ხელის აღება წარმოადგენს კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტიდან დეზერტირობას. რეზოლიუცია აღნიშნავს, თუ რა ამოცანები დგანან პარტიის წინაშე საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის და გაზაფხულის თესვის უზრუნველყოფის საქმეში.**

შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია: ვახორციელებთ რა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და სოფლებში პარტიის დირექტივას განკულაკების შესახებ, ამავე დროს, საჭიროა რაც შეიძლება მოკლე ვადაში დამთავრდეს განკულაკებულ მეურნეობათა და შავსიელთა შემადგენლობის გადათვალიერება. არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში არ უნდა მოხდეს განკულაკება. აღნიშნულ რაიონებში უნდა ვაიძულოთ კულაკები —სავსებით შეასრულონ ხელისუფლების დავალება თესვისა, პირუტყვის შენარჩუნებისა და სასაქონლო პროდუქციის აუცილებლად სახელმწიფოსთვის მიყიდვის შესახებ. პლენუმი აღნიშნავს, რომ არსებული პირობები სავსებით საკმაოა იმისთვის, რომ განვაგრძოთ საკოლმეურნეო მშენებლობა, მოვსპოთ კულაკობის ყოველგვარი წინააღმდეგობა და მოვახდინოთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია (ადს).

დამკვრელი კომუნისტური ქარხანა

ზლატოუსტი, 29 მარტი. კატავის ვაგონების ქარხანამ თავისი თავი დამკვრელ კომუნისტურ ქარხანად გამოაცხადა. 900 მუშამ შეიტანა კოლექტიური განცხადება პარტიაში მიღების შესახებ (ადს).

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამეცნიერო საგამოკვლეო ინსტიტუტი

მოსკოვი, 29 მარტი. საბჭოთა კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიასთან მოაწყოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი (ადს).

უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერთა პროცესი

ხარკოვი, 29 მარტი. უზენაეს სასამართლოს სხდომა დაიწყო სრულიად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის მეცნიერ თანამშრომლის და კიევის საექიმო ინსტიტუტის პროფესორის ბრალდებულ კუდრიცკის დაკითხვით. კუდრიცკი იყო „უკრაინის განთავისუფლების კავშირის" საექიმო ჯგუფის წევრი. ბრალდებული სავსებით ადასტურებს იმას, რაც სხვა ბრალდებულებმა სთქვეს საექიმო სექციის ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა კიევის საექიმო ინსტიტუტის პროფესორი, ბრალდებული **ჩერნიახოვსკის.** ჩერნიახოვსკიმ დაარსა „უკრაინის განთავისუფლების კავშირის" საექიმო ჯგუფი და ხელმძღვანელობას უწევდა მას. ჩერნიახოვსკი ასრულებდა „უკრაინის განთავისუფლების კავშირის" დავალებებს საზღვარგარეთ, მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ემიგრანტთა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან (ამისთვის ჩერნიახოვსკიმ გამოიყენა სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ). ეფრემოვის დავალებით მას უნდა გამოერკვია საკითხი ემიგრანტთა მთლიანი ფრონტის შესაძლებლობის შესახებ. პროკურორი მიხაილიკი ეკითხება მას: „ხომ იყავით თქვენ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მუშაობდა აქაური და საზღვარგარეთის კონტრ-რევოლიუციონური ძალების გაერთიანებისათვის?" „ვიყავი" —უპასუხა ჩერნიახოვსკიმ. დაკითხვის დამთავრებისას ჩერნიახოვსკი სასამართლოს წინაშე აცხადებს: „ვაღიარებ, რომ უკანასკნელ დრომდე კონტრ-რევოლიუციონერი ვიყავი. ეხლა ვგმობ ჩემ წარსულ პოლიტიკურ მოქმედებას".

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებული გერმაიზეს. გერმაიზე პროცესის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. 1918 წლამდე იგი იყო უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1920 წლიდან—„შუდ"-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1926 წლიდან 1929-მდე —„უკრაინის განთავისუფლების კავშირის" პრეზიდიუმის წევრი და ამავე დროს კიევის სახალხო განათლების ინსტიტუტის პრორექტორი. გერმაიზე არ ზოგავს სიტყვებს „თვითკრიტიკისათვის", თავისი მოქმედების გასაკიცხავად და ცდილობს მონანიებულ ცოდვილად დასახოს თავი. გერმაიზე აშკარად ცდილობს შეამციროს თავისი როლი და მნიშვნელობა „უკრაინის განთავისუფლების კავშირში". მას თავისი თავი გამოჰყავს ამ ორგანიზაციის არააქტიურ წევრად. გერმაიზე ამბობს, რომ პირველად „უკრაინის განთავისუფლების კავშირს" იგი სთვლიდა მთლიან ეროვნულ ფრონტად, მაგრამ შემდეგ დარწმუნდა, რომ ლოღიკურის აუცილებლობით ეს ფრონტი იქცევა ნაციონალისტურ კონტრ-რევოლიუციად.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ლიუბჩენკო ეკითხება:—რომელი პარტიიდან წარმოიშვა ყველაზე მეტი უკრაინელი კონტრ-რევოლიუციონერი?

— უკრაინის სოციალ-დემოკრატიამ წარმოშვა პეტლიურა. ამით ყველაფერი ნათქვამია, —უპასუხებს გერმაიზე.

გერმაიზე ადასტურებს, რომ „დამოუკიდებელი უკრაინის" ლოზუნგს იქით იფარებოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია. გერმაიზე აღნიშნავს აგრეთვე, რომ „უკრაინის განთავისუფლების კავშირი" მიზნად ისახავდა ფაშისტური ხელისუფლების შექმნას. შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ გერმაიზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სრულიად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის ანტისაბჭოთა კადრების შექმნაში და რომ ეს კადრები გაერთიანდნენ ეგრედწოდებულ „ახალგაზრდა აკადემიაში" (ადს).

მებამბეობის საბჭოთა მეურნეობები გიაურ-არხში

ბაქო, 28 მარტი. აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ განკარგულება გასცა —სასწრაფოდ გამოიყოს გიაურ-არხში მებამბეობის საბჭოთა მეურნეობისათვის საჭირო მიწა. „ზაკტოვბლოპკომ"-ის ტრესტს წინადადება მიეცა სამი დღის განმავლობაში წარადგინოს მოთხოვნილება მუშა-ხელის საჭირო რაოდენობაზე, როგორც მუდმივი, ისე სეზონური და დროებითი სამუშაოებისათვის. გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობისათვის სამკურნალო და სასკოლო დახმარების გასაწევად ჯანმრთელობის და განათლების სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცა—არა უგვიანეს 1 სექტემბრისა უზრუნველჰყონ სამკურნალო პუნქტებისა და სკოლების მოწყობა. „აზერიტიფაკის" წინადადება მიეცა მოაწყოს საბჭ. მეურნეობის რაიონებში მუშათა კოოპერაცია და უზრუნველჰყოს მუშა-მოსამსახურეებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება (ადს).

დიდი კოალიციის დაცემა გერმანიაში

ჰერმან მიულერის მთავრობა, დიდი კოალიციის მთავრობა, დაეცა. ეს მთავრობა ხელისუფლების სათავეში ჩადგა 1[illegible] წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნებს შედეგად მოჰყვა დიდი გაჯგუფება მარცხნისაკენ. იგი თითქმის ორწლიწადს დარჩა ხელისუფლების სათავეში. მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში იგი არასდროს არ ყოფილა დარწმუნებული თავისრულ სიმტკიცეში. თავდაპირველად იგი არსებობდა ფორმალურად, როგორც (გამოცდილია), მთავრობა, ვინაიდან ორი მთავარ ბურჟუაზიული პარტია—კათოლიკური ცენტრი და სახალხო პარტია—უარს ამბობდა მასზე, რომ საბოლოოდ შეებოჭა თავი კოალიციაში მონაწილეობით.

მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ელოდებოდნენ, როდის დაამტკიცებდნენ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი სოციალ-დემოკრატები თავიანთ „სახელმწიფოებრივ სიბრძნეს". სოციალ-დემოკრატებ არ დააყოვნეს დამტკიცებით ეს. მათ კოალიციური მთავრობის შედგენის მეორე დღევე დაივიწყეს ყველა თავიანთი დაპირებანი, ამ დაპირებათა მიუხედავად, გაიღეს ამდენად განთქმული ჯავშნიანი კრეისერის გებად საჭირო თანხები. მათ კრინტის დაძვრაც კი ვერ გაბედეს იმ ფართო სოციალურ ფინანსიურ რეფორმებზე, რომლებიც შებაც ასე გულმოდგინებით გაჰკიოდნენ მათ საარჩევნო პროგრამები. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა სოციალ-დემოკრატებმა ჩააბარეს სახელმწიფოებრივი სიბრძნის" გამოცდა მსხვილი ბურჟუაზიის პარტიები დასთანხმდნენ საბოლოოდ განემტკიცებინათ დიდი კოალიცია.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა უკანასკნელის შეუშფოთებელმა არსებობამ. ჰააგის პირველი კონფერენციის დროს ბერლინის პოლიტიკურ ბირჟაზე უკვე იწყო კოალიციის აქციების დაცემამ. პარლამენტის კულისებში აშკარად ალაპარაკდნენ, რომ კოალიციური მთავრობა უნდა გადადგეს, როგორც კი საბოლოოდ მიღებული იქნება იუნგის გეგმა. მართლაც ასე მოხდა. გასული წლის შემოდგომაზე მთავრობის მდგომარეობა გამწვავდა და დადგა კრიზისი, რომელიც დაგვირგვინდა კოალიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის— ფინანსთა მინისტრის ჰილფერდინგის გადადგომით.

ეს უკანასკნელი მსხვერპლი იყო ამერიკის ფინანსიური კაპიტალის ოჯახურ შორის გამართული ბრძოლისა იმ შინაგანი ბრძოლის, რომელიც სწარმოებს გერმანიის სხვადასხვა ფრაქციებს შორის მუშათა კლასზე ფინანსიური და პოლიტიკური შეტევის განხორციელების მეთოდების გამო. ჰილფერდინგის წასვლამ დიდი ხნით შეაჩერა კოალიციის საბოლოო კრიზისი. უკანასკნელი დადგა იუნგის გეგმის მიღებისთანავე, როგორც კი მთავრობა შეუდგა უმნიშვნელოვანესი შინაგანი პრობლემის, პირველ ყოვლისა, ფინანსიური პოლიტიკის გადაჭრას.

რატომ დაეცა მიულერის კაბინეტი? გადადგომის ფორმალური საბაბი „შეურიგებელი" უთანხმოება სოციალ-დემოკრატებსა და სახალხო პარტიას შორის უმუშევართათვის მისაცემი დახმარების სიდიდის შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური საბაბი იყო. მთავრობის კრიზისის მიზეზი იფარება იმ ეკონომიურ დეპრესიაში, რომელიც გერმანიას მოედო, უდიდეს უმუშევრობაში, პროლეტარიატზე კაპიტალის ფართოდ გაშლილ შეტევაში და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებაში. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ იუნგის გეგმის მიღება აუცილებლად გამოიწვევს პროლეტარიატზე ბურჟუაზიის შეტევის გაძლიერებას იმ მიზნით, რომ მოხდეს ნაციონალური შემოსავლის გადამჭრელი გადანაწილება მსხვილი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. საექსპორტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მსოფლიო ბაზარზე უფრო წარმატებითი კონკურენციის გაწევის მიზნით, კაპიტალის უფრო სწრაფად დაგროვება და მისი გატანა, უმუშევართა ისედაც ღატაკური სოციალური დახმარების შემცირება შრომის ბაზარზე ზეგავლენის გაძლიერებისა და ამით სამუშაო ხელფასის საყოველთაოდ შემცირების მიზნით,—აი რის მიღწევას სცდილობდა მსხვილი ბურჟუაზია უახლოეს დროში. ამ მოთხოვნილების განხორციელება უკანასკნელ დროს უფრო სასწრაფო და საჭირო გახდა მსხვილი ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან დაიწყო საერთაშორისო ეკონომიური კრიზისი და უაღრესად ღრმა ეკონომიური დეპრესია თვით გერმანიაში, რაც მეტად აძნელებს იუნგის გეგმის ცხოვრებაში გატარებას და ექსპორტის ამ გეგმასთან დაკავშირებული ფართო განვითარების განხორციელებას.

კოალიციური მთავრობა სოციალ-დემოკრატების მეთაურობით გულმოდგინეთ ასრულებდა მსხვილი ბურჟუაზიის მთელ პროგრამას. მან მოამზადა იუნგის გეგმის მიღება, იგი შეუდგა მსხვილი კაპიტალის ფინანსიური პროგრამის შესრულებას—შეამსუბუქა ბურჟუაზიის მდგომარეობა და ახალი ტვირთი დააკისრა გერმანიის მშრომელ მასებს (არაპირდაპირი გადასახადების, სამომხმარებლო პროდუქტებზე შესატანი ბაჟების და სხვ. გადიდება). მან განახორციელა ბურჟუაზიის მოთხოვნების პირველი ნახევარი უმუშევართა სადაზღვევო დახმარების შემცირების საქმეში. კონფლიქტების სამედიატორო გარჩევის და სამედიატორო განაჩენთა იძულებითი გატარების პოლიტიკით იგი ძირშივე ჰკლავდა მუშების ყოველ ცდას—წინააღმდეგობა გაეწიათ კაპიტალისტური რაციონალიზაციისათვის და შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის. სოციალ-დემოკრატიულ პროფკავშირებთან ერთად იგი თავგამოდებით ებრძოდა ეკონომიურ გაფიცვებს და, სოციალ-დემოკრატიული პოლიციის დახმარებით, სისხლში ახრჩობდა მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის ყოველ ცდას კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ, თუმცა ამან ოდნავაც ვერ შეაჩერა რევოლიუციონური ტალღის აზვირთება გერმანიაში.

სოციალ-დემოკრატიული პარტია თავგამოდებით ებღაუჭებოდა მინისტრთა პორტფელებს და ამასთან დაკავშირებულ უდიდეს პრივილეგიებსა და შესაძლებლობებს. სოციალ-დემოკრატი მინისტრები მზად იყვნენ შეესრულებინათ მსხვილი კაპიტალის ყველა მოთხოვნები. თუმცა სოციალ-დემოკრატ მინისტრებს მშვენივრად ესმოდათ, რომ სახალხო პარტიის გააფთრებული შეტევა უმუშევართა დაზღვევის ნაშთებზე და, საერთოდ, სოციალურ დაზღვევაზე ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს—გენერალური შეტევის მომზადებას გერმანიის მუშათა ხელფასზე, ისინი მაინც დაეთანხმნენ ბურჟუაზიული პარტიების მოთხოვნებს უმუშევართა დახმარების ახალი შემცირების შესახებ. მაგრამ აქ სოციალ-დემოკრატიამ ველარ შესძლო დაეფარა თავისი მინისტრები, როგორც არა ერთხელ დაუფარავს ისინი. პროლეტარიატის სწრაფი რადიკალიზაციის პირობებში, იმ პერიოდში, როდესაც გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ფაბქარხკომების არჩევნებზე, მუშათა მასების რევოლიუციონური აქტივობის აშკარა გაძლიერების დროს, —ეს ანტიპროლეტარული აქტი მეტად ძნელი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ისე, რომ თავი არ გამოეაშკარავებია მის მიმდევარ მუშათა მასების წინაშე.

სოციალ-ფაშიზმმა, რომელიც მზად არის გაატაროს ცხოვრებაში მსხვილი კაპიტალის ყოველგვარი მოთხოვნა და რომელიც სახელმწიფოს ფაშიზაციის საქმეს აქტიურად ემსახურება, დაინახა, რომ მისი სამანევრო შესაძლებლობანი მეტის-მეტად იზღუდებიან. სოციალ-დემოკრატიული პარტია აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას დიდძალი მასები უნდა ჩამოსცილებოდნენ, ხოლო ამ შემთხვევაში გაქრებოდა პარტიის, როგორც იმ ძირითადი ბურჯის, ღირებულება, რომელმაც მომავალი სოციალური ნგრევის დროს უნდა იკისროს ბურჟუაზიის დაცვა. ამიტომ სოციალ-დემოკრატები უნდა გადამდგარიყვნენ, გადამდგარიყვნენ არა იმიტომ, რომ მათ სურდათ გადადგომა. არა! ბატონი მიულერი, ზევერინგი და ძმანი მათნი მზად იყვნენ, საპარლამენტო ფანდების საშუალებით, უზრუნველეყოთ ბურჟუაზიისათვის საჭირო კანონპროექტების გაყვანა, ოღონდ ამით ხელისუფლება შეენარჩუნებინათ და ამავე დროს ამ კანონებისათვის პასუხისმგებლობა სოციალ-დემოკრატებისაგან მოეხსნათ. მაგრამ ეს არ სურდა ბურჟუაზიას. ამ უკანასკნელისათვის ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სოციალ-ფაშიზმმა ფაქტიურ ფანდს მიმართოს და ფორმალურად ოპოზიციაში გადავიდეს. ახლანდელ ეტაპზე მას მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ბურჟუაზიისათვის აქ, ვიდრე სამინისტრო სავარძლებში. ამიტომ ბურჟუაზიამ აიძულა სოციალ-დემოკრატია გასულიყო მთავრობიდან.

გერმან მიულერისა და ზევერინგის ამ გადამდგარი მთავრობა გერმანიის მუშათა კლასის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება კაპიტალის შეტევის, სისხლისმღვრელი პოლიციური ტერორის და სახელმწიფო აპარატის სრული ფაშიზაციის მთავრობად.

კოალიციური მთავრობის საშინაო პოლიტიკის ამ შედეგებს ემატება მისი საგარეო პოლიტიკის არა ნაკლებ „ბრწყინვალე" შედეგები. ეს მთავრობა გერმანიას სწრაფად მიაქანებდა დასავლეთის ორიენტაციისაკენ. მან მიიღო იუნგის გეგმა, რომელმაც გერმანიის ხალხის ორ თაობას მძიმე უღელი დაადგა. მან პოლონეთთან დადო რამდენიმე ხელშეკრულება, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არიან მიმართულნი. საბჭოთა კავშირის მიმართ ეს ყველაზე უფრო მტრული მთავრობა იყო იმათგან, რომლებიც რაპალოს შემდეგ არსებობდნენ გერმანიაში. მან ხელი არ შეუშალა იმ ველურ ანტისაბჭოთა გამოსვლას, რომელიც მთელ სახელმწიფოს მოედო. იგი გულგრილად შეხვდა გერმანიის შავრაზმული სასამართლოს მთელ რიგ ანტისაბჭოთა აქტებს. ერთის სიტყვით, მან დაამტკიცა, რომ ანტისაბჭოთა კურსის მიმდევარია.

როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, ჰინდენბურგმა მთავრობის შედგენა მიანდო ცენტრის პარტიის ბელადს ბრიუნინგს. ამასთან ერთად უკანასკნელს მიუთითეს, რომ მთავრობა არ უნდა იყოს კოალიციური. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს ახალი მთავრობა ნახევრად პარლამენტარული იქნება, ანუ იმდენად პარლამენტს არ დაეყრდნობა, რამდენადაც პრეზიდენტის განსაკუთრებულ უფლებებს, № 48-ს. საპარლამენტო დემაგოგიის თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტების ფრაქციებს შეუძლიათ არ დაუჭირონ მხარი მომავალი მთავრობის პროგრამას, რომელსაც, სხვათა შორის, ყველა პარტიები, ბრეიტშეიდიდან დაწყებული გუგენბერგამდე, უეჭველად დაუჭერენ მხარს.

ახალი მთავრობა თავისი წინამორბედისაგან დიდად არ იქნება განსხვავებული. იგი გერმანიის და მთელი სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციის პროცესს, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ანხორციელებდნენ, მხოლოდ გააღრმავებს და დააჩქარებს. ამასთან სულ ერთი იქნება, საპარლამენტო უმრავლესობის ნიღბით დაიფარება ეს, თუ მე-48 პარაგრაფის, ე. ი. აშკარა დიქტატურის წესით განხორციელდება.

კოალიციური მთავრობის გადადგომა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სოციალ-ფაშიზმი სახელმწიფო მართვა-გამგეობას ჩამოსცილდება და პრინციპიალურ ოპოზიციაში გადავა. ამჟამად სოციალ-დემოკრატიის „ოპოზიცია" მხოლოდ ტაქტიკური მანევრია, შრომის ახალი განაწილებაა ბურჟუაზიასა და სოციალ-ფაშიზმს შორის. „ოპოზიციაში" ყოფნის დროს სოციალ-დემოკრატები ისევე ერთგულად ითანამშრომლებენ ბურჟუაზიასთან, როგორც ამას რესპუბლიკის მთავრობაში სჩადიოდნენ და როგორც შემდეგში პრუსიის და სხვა ადგილობრივ მთავრობებში ჩაიდენენ. სოციალ-ფაშისტების ფაშისტურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ფარდას ახდის გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელიც, როდესაც სათანადო ისტორიული საათი დაჰკრავს, აღგვის პირისაგან მიწისა სამინისტრო მუნდირებში გამოწყობილ და „ოპოზიციონურ" ნიღაბს ქვეშ ამომალულ სოციალ-ფაშისტებს.

„პრავდა", 29 მარტი.

მარცხით დამთავრდა
პროვოკაცია

პარიზი, 28 მარტი. საგამომძიებლო ხელისუფლება რამოდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ დაეძებდა საბუთებს იმ 50 კომუნისტის წინააღმდეგ, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალების მომზადებას აბრალებენ. ახლა მან გამოსძებნა „მოწმე" — პროვოკატორი პეიტიე, რომელიც თავის დროზე პროვოკაციული მიზნით გაგზავნეს დაპატიმრებულებთან. ამ პროვოკატორს ერთბაშად ხელთ აღმოაჩნდა წერილი, რომლის მოჭორილი შინაარსი საბრალმდებლო ოქმს უნდა დასდებოდა საფუძვლად, მაგრამ ახლა პეიტიე აღიარებს, რომ ეს წერილი მის მიერვე არის შედგენილი (ადს).

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია

ტეხნიკური შალეულის ახალი ფაბრიკა ლენინგრადში

აფეთქება მაღაროში

ნიუ-იორკი, 28 მარტი. დასავლეთ ვირგინიის ქვანახშირის მაღაროებში მოხდა აფეთქება, რომელმაც 12 მუშა იმსხვერპლა (ადს).

საპროტესტო მანიფესტაცია

საბაჟო გადასახადების გადიდების წინააღმდეგ

პარიზი, 28 მარტი. კალეში 30 ათასმა შინამრეწველმა, რომლებიც არშიებს ამზადებენ, საპროტესტო მანიფესტაცია გამართეს იმის წინააღმდეგ, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკამ საფრანგეთიდან შეტანილ არშიებს გადიდებული ბაჟი დაადო (ადს).

ნავთი უზბეკისტანში

სამარყანდი, 29 მარტი. უზბეკისტანის ნავთის სარეწაოებზე, შორსუს მიდამოებში, ახალ ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთის ძლიერმა შადრევანმა, რომელიც 350 ტონაზე მეტ ნავთს იძლევა დღე-ღამეში.

შადრევანის ამოხეთქა ამტკიცებს, რომ უზბეკისტანის ნავთის სარეწაოები მდიდარია ნავთით. (ადს).

გავაუმჯობესოთ
დამკვრელი ბრიგადების მუშაობა

მოსკოვი 29 მარტი. დამკვრელმა ბრიგადებმა, რომლებშიც ლენინის გაწვევის დროს შევიდა ერთ მილიონზე მეტი მუშა, უკვე თვალსაჩინო გარდატეხა მოახდინეს საწარმოთა მუშაობაში, მაგრამ თვით ბრიგადებში ჯერ კიდევ წესიერათ არ არის დაყენებული მუშაობა.

სოციალისტური შეჯიბრების წლის თავთან დაკავშირებით, საკავშირო პროფსაბჭო საჭიროდ თვლის შეიქმნას ბრიგადები დამკვრელი მუშაობის თვითშემოწმების ჩასატარებლად და თვით ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად. ამ მიზნით 50 მუშაკი იქნება გამოყოფილი საკავშირო პროფსაბჭოსა და კავშირების ცენტრ. კომიტეტების აპარატიდან. (ადს).

მოსკოვი
(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბრიუნინგი შეუდგა მთავრობის შედგენას.

მოსკოვი, 29 მარტი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, ჰინდენბურგი და ბრიუნინგი უკვე შეუდგნენ ახალი კაბინეტის შემადგენლობის განხილვას. ბრიუნინგი მომავალი მთავრობის პოზიციების გამაგრების მიზნით, მოლაპარაკებას აწარმოებს ნაციონალისტთა პარტიისაგან ჩამოშორებულ ჯგუფთან: კეიდელთან, შილესთან, დიტრიხთან და სხვ.

„იზვესტია"-ს კორესპონდენტის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, **განზრახულია კანონები ახალ გადასახადთა შესახებ** (რომლებიც მძიმე ტვირთად დააწვება გერმანიის მშრომელ მასებს) **გატარებულ იქნას საგანგებო ღონისძიებათა სახით,** კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად.

მაგრამ, ვინაიდან ამგვარი წესით გატარებული ღონისძიებები მოითხოვს რეიხსტაგის შემდგომ სანქციას, ბრიუნინგი „ყოველი შემთხვევისათვის" მიიღებს ჰინდენბურგისაგან ბრძანებას რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ და ამრიგად მას საშუალება მიეცემა საჭირო შემთხვევაში რეიხსტაგის ფრაქციებს დათხოვნით დაემუქროს.

ბრიუნინგის კაბინეტს რეიხსტაგში უმრავლესობა არ ეყოლება.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

მოსკოვი, 29 მარტი. „პრავდა"-ს ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება: პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ, თუ პილსუდსკი გადასწყვეტს დაადგეს „მშვიდობიან გზას", იგი არ შევა თავისი ძმის კაბინეტში და შეინარჩუნებს არმიის გენერალური ინსპექტორის თანამდებობას. სამხედრო მინისტრად ასახელებენ რიდზ-სმიგლის, ვიცე-პრემიერად—ბარტელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები გაზაფხულის თესვის წარმატებით გატარებას

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანების შესრულება და პარტიული ხაზის გამრუდებათა გადაჭრით აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით ყოველგვარ გადახრებთან პარტიის გენერალური ხაზიდან.—ულმობელი ბრძოლა „მემარცხენე“ და მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც აფერხებენ კოლმეურნეობათა მშენებლობას

კოლმეურნეობათა მშენებლობის მდგომარეობა და ამოცანები ამიერ-კავკასიაში

რეზოლიუცია, მიღებული ამხ. შ. ელიავას მოხსენების გამო 26 კომუნარის სახელობის რაიონის პარტაქტივის კრებაზე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიონის პარტაქტივის კრებამ მოისმინა ამხ. შ. ელიავას მოხსენება კოლმეურნეობათა მშენებლობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ ამიერ-კავკასიაში. კრება აღნიშნავს, რომ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების საქმეში აღებული კურსი სწორია და რომ პარტორგანიზაცია საერთოდ სწორად მიუდგა ღარიბ და საშუალო გლეხობის ძირითადი მასის კოლმეურნეობებში ჩაბმის ამოცანის გადაჭრას.

პარტაქტივი ადასტურებს საკოლმეურნეო სექტორის უეჭველ ზრდას, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა და აქვს პარტიული ხაზის უხეში დამახინჯებისა და გამრუდების შემთხვევებს, რაც გამოიხატება კოლმეურნეობათა რიცხვით გატაცებაში, საკოლმეურნეო მოძრაობისათვის სახელის გატეხაში და ფორმალური კოლმეურნეობების შექმნაში, განვითარებული რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციის დროს მიღებული ზომების ჩამორჩენილ რაიონებშიაც მექანიკურად გადმოტანაში.

საკოლმეურნეო პოლიტიკის ამ დამახინჯებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიაში, საფუძვლად უდევს იმ გარემოების ვერ შეგნება, რომ „სხვადასხვა რაიონების სხვადასხვანაირ პირობებისათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი, ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს საღი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრესად სერიოზულ წინასწარ პირობას“.

რაიონული ორგანიზაციის აქტივი მთლიანად და სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმების გადაწყვეტილებებს და ღონისძიებებს კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებში; ეს გადაწყვეტილებანი და ღონისძიებანი უზრუნველჰყოფენ დაშვებულ შეცდომათა თავის დროზე გამოსწორებას, ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზებული სექტორის შემდგომ განმტკიცებას და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

პარტაქტივი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდესი ამოცანების შესრულება, აგრეთვე პარტიული ხაზის გამრუდებათა გადაჭრით დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით გადახრებთან პარტიის გენერალური ხაზიდან, განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრასთან. საჭიროა ულმობელი ბრძოლა მემარჯვენე ელემენტებთან, რომელნიც აფერხებენ კოლმეურნეობათა მშენებლობას და სათანადოთ ვერ აფასებენ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციას, ამავე დროს საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა „მემარცხენე“ გადახვევებთან და განწყობილებებთან, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ პირობებს, სცდილობენ დააჩქარონ კოლმეურნეობათა მშენებლობა და ნებაყოფლობის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მიერ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის აქტიური დახმარების გაწევის პრინციპი შესცვალონ ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებით.

პარტაქტივს საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნას ყველა ზომები გაზაფხულის თესვის კამპანიის საუკეთესოდ ჩასატარებლად, რისთვისაც ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები დარაზმულ უნდა იქნან პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ირგვლივ. პარტაქტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის ამოცანები ფართოდ განემარტოს პარტიულ და უპარტიო მასებს, მოხდეს პარტიის რიგებში რევოლიუციონური სიფხიზლისა და გამჭრიახობის მობილიზაცია და მთელი ძალღონე მოხმარდეს იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვას, რომელნიც დგანან სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე.

უთავბოლო მუშაობის ნიმუში

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიამ „სოფლის კავშირს“ წინადადება მისცა გაზაფხულის თესვისათვის შეეძინა 70 ათასი ფუთი სათესლე ქერი, რომელიც თვითონ განაწილა მაზრებსა და ოლქებს შორის. ამ სათესლე მასალის რაიონებს შორის განაწილება ევალებოდა თესვის ჩამტარებელ სამაზრო და საოლქო შტაბებს. ამ წესის მიხედვით, თბილისის საოლქო შტაბმა ოლქისათვის გამოყოფილი სათესლე მასალა გაანაწილა რაიონებს შორის და ბაშკიჩეთის რაიონს არგუნა 5.000 ფუთი. როგორც ირკვევა, საოლქო შტაბს განაწილება მოუხდენია ადგილებთან შეუთანხმებლად, ვინაიდან როდესაც განაწილების თანახმად ბაშკიჩეთის რაიონისთვის 5 ვაგონი ქერი მივიდა სადგურ სანდარაში—ბაშკიჩეთის რაიონმა არ მიიღო იგი და განაცხადა, რომ მას ქერი არ ესაჭიროება, რადგან ქერი ადგილობრივ საჭიროზე მეტი რაოდენობით იშოვება. გაჩაღდა დეპეშების მიწერ-მოწერა მემინდვრეთა კავშირს, სადგურ სანდარასა, თბილისის საოლქო შტაბისა და ბაშკიჩეთის სარაიონო შტაბს შორის. უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, თბილისის საოლქო შტაბმა განუცხადა მემინდვრეთა კავშირს, რომ ბაშკიჩეთის რაიონისთვის გადაგზავნილ ქერს მიიღებს აღბულაღის რაიონი. გამოირკვა, რომ ქერი არც აღბულაღის რაიონს ესაჭიროება.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ბაშკიჩეთის რაიონმა როგორც იქნა 18 მარტს მიიღო 2 ვაგონი ქერი, ხოლო დანარჩენი 3 ვაგონი 23 მარტს გადმოგზავნილ იქნა ისევ თბილისში (ქერი სანდარაში მივიდა 10 მარტს). ამ უთავბოლო ოპერაციის შედეგად მემინდვრეთა კავშირმა მარტო ვაგონების გაცდენასა და ტვირთის შენახვაში სადგურ სანდარაში გადაიხადა 460 მანეთი გარდა ამისა, მანვე უნდა გადაიხადოს 3 ვაგონი ქერის სანდარიდან ტფილისში გადმოზიდვის საფასური.

თბილისის საოლქო შტაბმა „თავი ისახელა“ აგრეთვე ბოსტნეულის თესლის განაწილების საქმეშიაც. როგორც ვიცით, ეს თესლი მცირე რაოდენობით მოიპოვება და რასაც ვიშოვით დროზე და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ასე არ მსჯელობს თესვის ჩამტარებელი თბილისის საოლქო შტაბი. დამზადებული ბოსტნეულის სათესლე მასალა გაანაწილა მებოსტნეთა კავშირმა, რომელმაც აცნობა შტაბს, რომ დროზე მიეღო ეს მასალა და გაენაწილებია რაიონებს შორის; ამ საკითხის შესახებ მებოსტნეთა კავშირმა თბილისის საოლქო შტაბს გაუგზავნა ხუთი თუ ექვსი ტელეფონოგრამა, მაგრამ ამაოდ. არც ერთზე პასუხი არ მიუღია.

ასე „მუშაობს“ თესვის ჩამტარებელი თბილისის საოლქო შტაბი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათანადო ორგანოებმა დროზე უნდა შეამოწმონ ეს „მუშაობა“ და მიიღონ ზომები, რათა შტაბის უთავბოლო მუშაობით არ შეფერხდეს გაზაფხულის სას.-სამ. კამპანია.

ნ—ძე.



სამტრედია. ხარების კოლონა მუშაობის დროს

სას.-სამ. კამპანია ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 29 მარტი. (საქ. კორ.). ონის რაიონში ჩამოყალიბებული იყო 58 კოლექტივი 494 კომლით, 17081 ჰექტარი მიწის ფართობით და 9586 მუშა-საქონლით. აქედან დაიშალა მხოლოდ 2 კოლექტივი, 7 კოლექტივი გადაკეთდა მარტივ გაერთიანებად. კოლექტივების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები გაიარა 117 კაცმა. გაზაფხულის პური მთლიანად დათესილია. სიმინდისათვის დახნულია 600 ჰექტარი. მიღებულია 108 მანქანა-იარაღი. გაწმენდილია 4264 ფ. თესლი, შეწამლულია 328 ფუთი. სათესლე მარაგის დანაკლისი უდრის 30.034 ფუთს, აქედან სიმინდი 3.682 ფუთი, ქერი—12.715 ფუთი, ლობიო 717 ფუთი და კარტოფილი 12.904 ფუთი. დამზადებულია 7.075 ჰექტარი ვენახი. თივით და მუშა-საქონლით რაიონი უზრუნველყოფილია.

ამბროლაურის რაიონში ჩამოყალიბებულია 25 კოლმეურნეობა 4.970 კომლით. განსაზოგადოებულია 7.021 ჰექტარი სახნავი მიწა და 9.171 სული მუშა-საქონელი. კოლექტივებში გაერთიანებულია მოსახლეობის 93 პროცენტი. არ ყოფილა კოლექტივების დაშლის არც ერთი შემთხვევა. რაიონში ჯერ კიდევ თოვლია. თესვა დაიწყო მხოლოდ რაიონის დაბლობ ადგილებში. დათესილია 87 ჰექტარი. სათესლე მასალა მთლიანად გაწმენდილი და დახარისხებულია. შეწამლულია 3.550 ფ. თესლი. დამუშავებულია 870 ჰექტარი ვენახი. ჩამოყალიბებულია მანქანა-იარაღების შემკეთებელი 7 ბრიგადა. დღემდე შეკეთებულია 2.704 მანქანა. აგრო-რწმუნებულთა და საწარმოო თათბირების მდივნების კურსები გაიარა 247 კაცმა, ხოლო კოლექტივების ხელმძღვანელთა კურსები 71 კაცმა. უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წლებში ამ დროს არ ყოფილა დამუშავებული არც სახნავი მიწები და არც ვენახები. რაიონი განიცდის მანქანა-იარაღების ნაკლებობას. შრომა კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია.

ცაგერის რაიონში ჩამოყალიბებულია 10 სასოფლო-სამეურნეო არტელი. გაერთიანებულია 333 კომლი 555 ჰექტარი მიწის ფართობით და 567 მუშა-საქონლით. განსაზოგადოებულ სექტორში დახნულია 19 ჰექტარი მიწა. რაიონის დიდ ნაწილში ხვნა არ დაწყებულა. რაიონი უზრუნველყოფილია სათესლე მასალით. საჭიროა მანქანა-იარაღები: გუთანი 50, რკინის ფარცხი 45, ტრიერი 4, სიმინდის საფშვნელი 25. დამუშავებულია 79 ჰექტარი ვენახი. რაიონს სჭირდება 3.000 ფუთი თივა.

ზესტაფონის რაიონში განსაზოგადოებული მიწებიდან მოხნულია 1.800 ჰექტარი. კოლექტივებს აქვთ 82 გუთანი, 50 ფარცხი, 2 ტრაქტორი და 3.750 ვერმორელის აპარატი. თესვა ჯერ არ დაწყებულა. დამუშავებულია 2.300 ჰექტარი ვენახი. ახალი ვენახებისათვის დამუშავებულია 136 ჰექტარი მიწა. კოლექტივებს ჰყავთ გამწევი ძალის კოლონა 168 ხარიდან. სულ ჩამოყალიბებულია 11 კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია — 10.315 კომლი 10.019 ჰექტარი სახნავი მიწით და 8847 სული მუშა-საქონლით. მუშახელია მამაკაცი — 15.815, დედაკაცი — 15.796.

ხონის რაიონში ჩამოყალიბებულია 6 კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანდა 4528 კომლი. განსაზოგადოებულია 6.756 ჰექტარი მიწა და 2.898 მუშა-საქონელი. თავისი სურვილით კოლექტივებიდან გავიდა 553 კომლი, წმენდის შედეგად გამორიცხულია 364 კომლი. დახნულია 9.591 ჰექტარი მიწა, აქედან განსაზოგადოებულ სექტორში 5.634 ჰექტარი. რაიონს აკლია სათესლე მასალა: სოიო—3.000 ფუთი, არახისი—180 ფუთი, ლობიო 400 ფ., ღომი და ფეტვი 213 ფუთი, საქონლის საკვები ბალახი 866 ფ. თესვა დაიწყება 5 აპრილიდან. რაიონს სჭირდება 2 ვაგონი თივა.

ტყიბულის რაიონში ჩამოყალიბდა 29 სას.-სამ. არტელი 1.311 კომლით. მარტივ გაერთიანებებში გაერთიანდა 133 კომლი, სულ 1.444 კომლი, 2.410 ჰექტარი მიწით და 6.206 სული მუშა-საქონლით. რაიონის განსაზოგადოებულ სექტორში დახნულია 503 ჰექტარი, ინდივიდუალურ სექტორში—291 ჰექტარი მიწა. ნაკლებობაა სათესლე მასალის: სიმინდის 3.000 ფუთი, ლობიოს 1600 ფუთი, სოიას 1.800 ფუთი, კარტოფილის 2.400 ფუთი. თესვა დაიწყო 24 მარტიდან. დათესილია განსაზოგადოებულ სექტორში 111 ჰექტარი, ინდივიდუალურში—170 ჰექტარი. კოლექტივებს აქვს 6 სამჭედლო. რაიონს სჭირდება 10.000 ფუთი თივა. ნაკლებობაა საკვები სიმინდის.

ჭიათურის რაიონში მიწებს წინასწარ არ ხნავენ. აქ თესლი არ შეწამლულა, რადგან წამალი არ იყო. თესვა დაიწყო 15 მარტს. დათესილია 95 ჰექტარი. დამუშავებულია 696 ჰექტარი ვენახი. მუშა-საქონლის ნაკლებობაა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა 6 სასოფლო-სამეურნეო არტელი 665 კომლით და 500 ჰექტარი მიწის ფართობით.

ხელოვნური სასუქის გამოყენება

მინერალური სასუქის გამოყენების ცდები საქართველოში ამ სამი წლის წინად დაიწყო. პირველ ხანებში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა დასავლეთ საქართველოს, სადაც ნიადაგი უფრო გამოფიტულია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. 1928-29 წელში მთელ საქართველოში ჩატარდა 70-მდე ცდა, რაზედაც მუშაობდა 7 კაცი. გასულ შემოდგომაზე მუშაობა გაფართოვდა. ცდებზე მუშაობდა უკვე 17 კაცი, რომლებმაც ცდები ჩაატარეს 150 ადგილას.

მიმდინარე გაზაფხულზე მინერალური სასუქის გამოყენების ცდები ჩატარდება საქართველოს ყველა რაიონებში. ამ საქმეზე იმუშავებს 30 ინსტრუქტორი. სასუქის გამოყენების ცდებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე სას. სამ. სკოლები, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები, აგრო-პუნქტები და სხ. გაზაფხულზე ცდები ჩატარდება დაახლოვებით 350 ადგილას. ცდების დროს გამოკვლეული იქნება, თუ რომელ რაიონისთვის რომელი სასუქია საჭირო და რა ეფექტს მოგვცემს მისი გამოყენება.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საცდელ-სამეცნიერო განყოფილების ცნობით, მინერალური სასუქის გამოყენების ცდებმა დასავლეთ საქართველოში დადებითი შედეგები გამოიღეს. მაგალითად, სოფ. სალხინოში გასულ წელს გაუნაყოფიერებელ ნიადაგზე ერთ ჰექტარზე მოსავალი მიღებულ იქნა 23—24 ფუთის რაოდენობით, მინერალური სასუქით განოყიერებულ ნიადაგზე კი 51—53 ფუთი. აბაშის რაიონში მინერალური სასუქით განოყიერებულ ნიადაგის მოსავალი 87 პროცენტით აღემატებოდა გაუნოყიერებელ ნიადაგის მოსავალს.

ცდებთან ერთად წელს განზრახულია მინერალური სასუქის პრაქტიკული ხმარების გაძლიერება. გეგმის თანახმად ქუთაისის ოლქში, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის და ახალციხის მაზრებში შეზიდული და გამოყენებული უნდა იქნეს 800 ტონა მინერალური სასუქი. სასუქის ეს რაოდენობა ადგილებზე მიტანილი უნდა ყოფილიყო თებერვლის დამლევისათვის. ფაქტიურად დღემდე შემოზიდული და განაწილებულია მხოლოდ 240 ტონა. მიღებულია ზომები, რომ გლეხობამ წელს მთლიანად მიიღოს გეგმით გათვალისწინებულ სასუქის მთელი რაოდენობა.

ხეხილის წამლობა დაიწყო

გეგმის თანახმად მიმდინარე წელს ხეხილის წამლობა ჩატარებულ უნდა იქნეს გორის ოლქში 4.000 ჰექტარზე, სამხრეთ ოსეთში — 429 ჰექტარზე, ახალციხის მაზრაში—1.800 ჰექტარზე, ქუთაისის ოლქში—600 ჰექტარზე და ოზურგეთის მაზრაში—400 ჰექტარზე.

ხეხილის სწორად წამლობის მიზნით წელს მოწყობილ იყო ტექნიკოსების მოსამზადებელი კურსები გორში 80 კაცისთვის და ახალციხეში—45 კაცისთვის. გარდა ამისა ოზურგეთში მოეწყო ხუთდღიანი კურსები. ამ კურსების მსმენელები მთლიანად გამოყენებული არიან ხეხილის წამლობაზე. აღმოსავლეთ საქართველოში ხეხილის წამლობა უკვე დაიწყო. ხეხილის წამლობას სწარმოებს ხილის დამამზადებელ ორგანიზაციების ხარჯზე. ეს ორგანიზაციები უარს ამბობდნენ დასავლეთ საქართველოს ხეხილის წამლობისათვის საჭირო ხარჯების გაღებაზე. ამის გამო დასავლეთ საქართველოში ხეხილის წამლობა შეჩერებული იყო. ამჟამად ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. შეძენილია ხეხილის საწამლებლად საჭირო მასალის მთელი რაოდენობა და წამლობაც ნორმალურად მიმდინარეობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ხეხილის წამლობა იწარმოებს მთელი გაზაფხულის განმავლობაში.

ყველა კუთხეებიდან

# სოფ. მუხრანში სას.-სამ ინსტიტუტმა რომელსაც შეფობა აქვს აღებული ამ სოფელზე, გაგზავნა თესვის კამპანიის ჩასატარებლად ბრიგადა, რომელშიაც შედიოდა 8 წითელარმიელი და 3 აგრონომი. ბრიგადამ თან წაიყვანა 13 ცხენი გუთნით. ბრიგადა 7 დღის განმავლობაში უხნავდა კოლექტივის წევრებს მიწებს. აგრონომებმა შეადგინეს საწარმოო გეგმები. გუთნები გადასცეს კოლექტივს უფასოდ. ამას გარდა ინსტიტუტმა სოფელში გაგზავნა ტრაქტორი. გაგზავნილია აგრეთვე ერთი აგრონომი, რომელიც პირველ მაისამდე დარჩება მუხრანში. ვ. ლ—ია.

—:—

# ლანჩხუთის სატრაქტორო კოლონა შეუდგა მუშაობას. გამომუშავებული არ არის მტკიცე ტარიფი მიწის მოხვნისათვის, რაც ბევრ გაუგებრობას იწვევს. ერთი ჰექტარი მიწის დახვნა 15-20 მანეთი ღირს, მაშინ, როდესაც აბაშის რაიონში მხოლოდ ათი მანეთი ჯდება. —ძე.

—:—

# სუფსის სატრაქტორო კოლონის 10 ტრაქტორი ამჟამად ლანჩხუთში მუშაობს. ხშირია ტრაქტორების დაზიანების შემთხვევები. უფრო ხშირად ფუჭდება „ფორძონის“ ტრაქტორები. ამჟამად უმოქმედოთ სდგას 4 ტრაქტორი. ლანჩხუთში დღემდე მოხნულია 120 ჰექტარი მიწა. უ.

—:—

# ლანჩხუთში „სოფლის კავშირმა“ ამ ერთი თვის წინედ გამოგზავნა 32 ცხენისაგან შემდგარი კოლონა. კოლონისათვის გამოგზავნილი 17 ცალი ხამუთი გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ხამუთები უკანვე წაიღეს, მაგრამ სამაგიერო ჯერ არ გამოუგზავნიათ. ამრიგად, 17 ცხენი ერთი თვის განმავლობაში უმოქმედოთ დგას, რაც მძიმე ტვირთად აწევება კოლექტივს. კ.—ძე.

—:—

# ლესა-ჭინათისა და ჩიბათის თემის კოლექტივებში გაცხოველებული მინდვრის მუშაობა სწარმოებს. ვარგისი ცოცხალი გამწევი ძალა მთელი ასი პროცენტით არის გამოყენებული. ლესა-ჭინათის კოლექტივი ხვნას მალე დაამთავრებს. უ.—ძე.

ს. საკორინთლო. თესლის შეგროვება

მესაქონლეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა

ქუთაისი, 29 მარტი. ქუთაისის ოლქის მესაქონლეობის მთავარ რაიონში (ვანის რაიონი), სოფელ გურშევში, საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტი აწყობს მერძევეობა-მესაქონლეობის დიდ საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც ეყოლება 500 სული მეწველი საქონელი, მეღორეობის დამხმარე დარგით. საბჭოთა მეურნეობისათვის გამოყოფილ იქნა 6.000 ჰექტარი საუკეთესო საძოვარი.

საბჭოთა მეურნეობის შენობებისათვის ადგილის ასარჩევად გურშევში გაემგზავრა სპეციალური კომისია საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის აგრონომ-სპეციალისტის ციმაკურიძის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, კომისიას დავალებული აქვს ადგილობრივად შეისწავლოს საშენებელი მასალის დამზადების შესაძლებლობა.

პროექტის მიხედვით, საბჭოთა მეურნეობის მოწყობა დაჯდება 700.000 მანეთად. უკვე გაღებულია და იხარჯება 300 ათასი მანეთი. დანარჩენი თანხა მომავალში გადაიდება. საქონელს ადგილობრივად ამზადებენ. საქონლის ნაწილი საბჭოთა რუსეთში იქნება შეძენილი (ადს).

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

თუთის სანერგეების ფართობის გადიდება

თელავი, 29 მარტი. საქართველოს აბრეშუმის ტრესტს სანერგეები აქვს შემდეგ ადგილებში: თელავში—16 ჰექტარი, წნორის წყალში—36 ჰექტარი, სავაზში—28 ჰექტარი, ველისციხეში 4 ჰექტარი და ახმეტაში—6 ჰექტ. სანერგეებისათვის მიწის მოსამზადებლად ტრესტმა გაიღო 450.000 მანეთი. ამჟამად ყველა სოფლებში სწარმოებს ინტენსიური მუშაობა. თუთის ნერგების გადარგვა დაიწყება 1 აპრილს. (ადს).

—:—

ამხ. ფ. მახარაძე და მიხ. კახიანი კახეთში

თელავი, 29 მარტი. (საქ. კორ.). ამხ. ფილიპე მახარაძემ და მიხ. კახიანმა ინახულეს ყვარელი, შილდა და ენისელი. გაიმართა მიტინგები, რომლებსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ამხ. ფ. მახარაძემ გლეხკაცობასთან ისაუბრა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებზე. გლეხობა დიდი აღფრთოვანებით ეგებება ხელმძღვანელ ამხანაგებს. მიტინგებზე და კრებებზე გამოაშკარავდა კოლექტივიზაციის ჩატარების დროს დაშვებული შეცდომები, პარტიის ხაზის დამახინჯებანი, ძალდატანება, უფლების გადამეტება, კოლექტივიზაციის რაიონების ქონების დაბნევის და დაკარგვის შემთხვევები.

—:—

მთავრობის კომისიის შედგენა

გურჯაანი, 29 მარტი. (საქ. კორ.). შესდგა მთავრობის კომისია კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ გაუგებრობების და საჩივრების განსახილველად ამხ. შამშე ლეჟავას, გორგი მამალაძის და ზამბახიძის შემადგენლობით.

კოლექტივი „ლენინიზმი“

ავჭალა, 29 მარტი. (საქ. კორ.). კოლექტივ „ლენინიზმის“ წევრებმა დახნეს მიწის მთელი ფართობი. ქერი უკვე დაითესა 18 ჰექტ. აგრეთვე დაითესა კარტოფილი 1 ნახ. ჰექტ. კოლექტივს აქვს 100 ჰექტ. სახნავი მიწა, 10 ჰექტ. ბაღი, ხოლო 120 ჰექტარი სათიბი და საძოვარი მიწა.

—:—

საჭიროა აგრონომი

ავჭალა, 29 მარტი. (საქ. კორ.) მთელს თემში მუშაობს „სოფლის კავშირიდან“ მოვლინებული 1 აგრონომი. თემის 14 სოფელს ის ვერ სწვდება. იგი მხოლოდ ორგანიზაციულ მუშაობას უნდება. საჭიროა თემში დაინიშნოს კიდევ 1 აგრონომი.

—:—

საკვები მასალა

ავჭალა, 29 მარტი. (საქ. კორ.) მუშა-საქონლისათვის მიღებულია 84.000 ფ. საკვები მასალა. გუშინ ალმასკომმა დამატებით მიიღო კიდევ 1 ვაგონი თივა. სოფ. გლდანს მიეცა 800 ფ. საკვები მასალა, მამკოდის—500, ხოლო ავჭალას—200 ფ.

—:—

თუთის სანერგეების გაშენება

ავჭალა, 29 მარტი. (საქ. კორ.). თემში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით, გადაწყვეტილია გაშენდეს თუთის ახალი სანერგეები. ს. გლდანში და ავჭალაში სანერგეები გაშენდება 4 ჰექტ. „საქართველოს აბრეშუმმა“ სანერგეების გაშენებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოავლინა თავისი წარმომადგენელი. წელს გამოყვანილი იქნება 80 კოლოფი აბრ. თესლი.

—:—

სატრაქტორო ვალდებულებანი

ავჭალა, 29 მარტი. (საქ. კორ.). დაიწყო სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაცია. სოფ. გლდანის გლეხებმა შეიძინეს 200 მან. ობლიგაციები, ქვ. ავჭალის—200 მანეთის, ზემო-ავჭალის—180, მამკოდის—200 მან. საკონტროლო ციფრის დაფარვას აკლია 250 მან.

—:—

თესლის მაგივრათ მარგანეცი

ლანჩხუთი, 29 მარტი. (საქ. კორ.) ამ დღეებში ლანჩხუთის მემინდვრეთა კავშირმა მიიღო „სოფლის კავშირისაგან“ სოიას მაგიერ ერთი ვაგონი მარგანეცი, რაც სასწრაფოდ გაბრუნებულია უკანვე.

—:—

თესვის კამპანია ფართოდ გაიშალა

აბაშა, 29 მარტი. აბაშის რაიონში თესვის კამპანია ფართოდ გაიშალა. 26 მარტისთვის მოხნული იყო 1250 ჰექტარი მიწა. ამინდი ხელსაყრელია.

მანქანა - იარაღები თესვისათვის

მცხეთა, 29 მარტი. (საქ. კორ.). სარაიონო საკრედიტო ამხ-ბამ დამატებით მიიღო 40 სანიავებელი და 2 ტრიერი, რომელიც გადაეგზავნა სოფ. ძეგვს.

—:—

ბალახის და ბოსტნეულის თესლეული

მცხეთა, 29 მარტი. (საქ. კორ.) გუშინ მემინდვრეობის კავშირმა მიიღო 2.968 კილო ძაძის თესლი, 150 კილო წიწაკა და ქინძი 384 კილო ესპარცეტი, 100 კილო ხახვი და 101 კილო სამყურა ბალახის თესლი.

—:—

საკრედიტო ამხ-ბათა დაუდევრობა

მცხეთა, 29 მარტი. (საქ. კორ.). მცხეთის მემინდვრეობის რაიკავშირისათვის სოფ. მცხეთის, მუხრანის და ნატახტარის საკრედიტო ამხანაგობებს უნდა გადაეცებიათ იარაღ-მანქანები, უკანასკნელებმა რაიკავშირს მანქანები არ გადააბარეს. მცხეთის საკრ. ამხ-ბის საწყობში აწყვია მრავალი მანქანა, რომლებიც გაუნაწილებელია სოფლებზე.

—:—

საჭიროა თესლი

მცხეთა, 29 მარტი. (საქ. კორ.). რაიონს ესაჭიროება 1 ვაგონი კარტოფილის თესლი. მცხეთის მემინდვრეობის რაიკავშირმა საქ. „მებოსტნეკავშირს“ ხამჯერ სთხოვა კარტოფილის გამოგზავნა, მაგრამ არც კარტოფილი და არც პასუხი არ სჩანს. თუ თესლი დროზე არ იქნა გამოგზავნილი, კარტოფილის თესვა შეფერხდება.

—:—

საერთო ბინა მუშა-საქონლისათვის

მუხრანი, 29 მარტი. (საქ. კორ.). 26 კომუნარის სახ. კოლექტივმა 10 მარტიდან გალამკის უბანში დაიწყო საერთო გომურის აგება. ბოსლის აგებაზე მუშაობს 80 ურემი. ბინის აგება დამთავრდება 2 თვეში. ბოსელი დაიტევს 60 უღელ მუშა-საქონელს.

—:—

თესვა გორის ოლქში

გორი, 29 მარტი. სახნავი მიწების სივრცე გორის ოლქში უდრის 46.028 ჰექტარს. აქედან უკვე მოხნულია 25.606 ჰექტარი. ხორბალი დათესილია 21.169 ჰექტარზე, ქერი—851 ჰექტარზე და უგრეხელი 7 ჰექტარზე. ხვნა-თესვა წარმატებით მიმდინარეობს.

—:—

სათესლე სიმინდი საწყობში ინახება 1929 წლიდან

ქუთაისი, 29 მარტი. 1929 წლის დამლევს „სოფლის კავშირმა“ სოფ. მუხიანის საკრედიტო ამხანაგობას გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის გაუგზავნა ერთი ვაგონი სათესლე სიმინდი. იმ დროს, როცა ადგილობრივად თესლის დიდ ნაკლებობას განიცდიან, მთელი გაგზავნილი სიმინდი დღემდე ხელუხლებლად ინახება საკრედიტო ამხანაგობის საწყობში. (ადს).

—:—

კოლექტივიზატორთა შეცდომები

ქუთაისი, 29 მარტი. ზოგიერთ სოფლებში მიმაგრებულმა მუშაკებმა კოლექტივიზაციის ჩატარების დროს „გადაჭარბებული ერთგულება“ გამოიჩინეს. მაგალითად, ცაგერის რაიონში გლეხებს, რომელთაც არ უნდოდათ კოლმეურნეობაში შესვლა, მიმაგრებულნი აშინებდნენ იმით, რომ ამიერიდან მათ კოოპერატივიდან არაფერი მიეცემათ და რომ ისინი მოხვდებიან მავნებელთა შემადგენლობაში.

სოფელ ზუბში კოლმეურნეებს ქათმები აუწერეს.

სოფელ ოყურეშში სოფლის საბჭომ გლეხს წაართვა სათესლე მასალისათვის სიმინდი, რომელიც მას ოჯახის გამოსაკვებად ჰქონდა ნაყიდი (ადს).

—:—

შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში არ დაწყებულა

ქუთაისი, 29 მარტი. კოლმეურნეობებში ჯერაც არ დაწყებულა შრომის ორგანიზაცია, რომელიც პატრიკეთის, მუხიანის, რიონის, ქვიტირის, გოდოგანის და ნახშირღელეს სოფლის საბჭოებში 25 მარტისათვის უნდა დამთავრებულიყო. მიზეზი—მობილიზაციით გაწვეულ აგრონომების ჩამოუსვლელობაა. (ადს).

მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს

ოზურგეთი, 29 მარტი. (საქ. კორ.) უკვე კარგა ხანია, რაც ჩოჩხათის, აცანის და გურიანთის მთლიანი კოლექტივები მინდვრად არიან გასული. ჩოჩხათის კოლექტივი აერთიანებს 630 კომლს, აცანის—400 კომლს და გურიანთის—550 კომლს. გეგმით გათვალისწინებულ 90 ჰექტარ ჩაის მიწიდან დამუშავებულია 70 ჰექტარი. მარცვლეულის სათეს ფართობზე მუშაობენ ტრაქტორები. მოხნულია 1000 ქცევა. აცანამ გეგმით გათვალისწინებულ ჩაის ფართობს 56 ჰექტარით გადააჭარბა. მინდვრად მუშაობს 150 უღელი ხარი. გურიანთის კოლექტივმა ჩაის მიწებიდან 60 პროცენტი უკვე დაამუშავა. გაშენებული იქნება 4 ჰექტარი ბოსტანი და 2 ჰექტარი ბრინჯი. სამივე თემში მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს.

—:—

ციტრუსოვან კულტურას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება

ოზურგეთი, 29 მარტი. (საქ. კორ.). მებაღეობის რაიონულ კავშირს დასარგავად მზად აქვს 800.000 ძირი მანდარინა, აქედან 150.000 ძირი შეძენილი აქვს აფხაზეთს. მზად არის დასამყნობად 6 მილიონი მწარე მანდარინის ძირი, გადასარგავად დამზადებულია 10.000 ძირი სხვადასხვა ხეხილი. მანდარინის და სხვა ციტრუსოვან მცენარეების დასარგავი თუ გადასარგავი ფართობი თესვის ჩამტარებელი კომისიის გეგმაში არ არის შეტანილი და არც რაიმე მიწათმოწყობაა ჩატარებული ციტრუსოვან მცენარეთა გასაშენებლად.

—:—

მუშაობა გაცხოველებულია

ოზურგეთი, 29 მარტი. (საქ. კორ.). მაჩხაში მინდვრად გაცხოველებული მუშაობაა. ჰამათის კოლექტივმა მოხნა და გამოკაფა მიწის ახალი ფართობი. ჩაის თესვის გეგმა შესრულებულია ასი პროცენტით.

—:—

ტრაქტორები უქმად სდგანან

თელავი, 29 მარტი. (საქ. კორ.). ლაგოდეხის რაიონში 48 ტრაქტორისაგან შემდგარი კოლონა მოუწყობელია. ტრაქტორები უქმად სდგანან.

—:—

გეგმა მთლიანად შესრულდა

ოზურგეთი, 29 მარტი. (საქ. კორ.). 500 კომლისგან შემდგარი ნატანების კოლექტივი, რომელიც წინად მოისუსტებდა, ეხლა განმტკიცდა გუშინ, მინდვრად მუშაობდა 200 უღელი ხარი. გეგმაში გათვალისწინებული 1000 ჰექტარი მიწა უკლებლად დაიხვნება. დამუშავებულია 50 ჰექტარი ჩაის მიწა. სუფსის მთიანმა კოლექტივმა, რომელიც ათასზე მეტ კომლს აერთიანებს, ჰქადად აქცია 2.000 ქცევა შა, გაწმინდა 1000 ქცევა და მოხნა 400 ქცე. ნიგვზიანის კოლექტივში ყოველდღე მინდვრად მუშაობს ათასამდე კაცი, 200 ქალი, 8 მოზარდი და 250 უღელი ხარი. მოხნულია 600 ქცევა მიწა.

—:—

ხვნა-თესვა გაცხოველებით მიმდინარეობს

ონი, 1 მარტი. (სპეც. კორ.) მთელ რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ჭრებალოს რაიონში სიმინდის თესვა 25 მარტს დაიწყო. (პურის თესვა მოთავებულია ყველა რაიონებში). ვენახები ყველგან დაბარულია და ხარზე აკრულა.

კოლექტივის წევრები მუშაობაში დიდ მუყაითობას იჩენენ. ათეულებს შეჯიბრება აქვთ ერთიმეორესთან. (ცაგერის კომუნა, საკაოს კომუნა), მაგრამ ღონისძიებები შრომის სწორი ორგანიზაციისათვის ჯერ თითქმის არსად არ არის გატარებული, რაც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

კადრების მხრივ საგრძნობია. ონის რაიონში არცერთი მესაქონლე აგრონომი არ მოიპოვება. სპეციალისტების რაოდენობა სხვა რაიონშიაც მცირეა.

მანქანა-იარაღების მიწოდების საქმე მოუწესრიგებელია. ონის რაიონს დაუსრულებლად მოსდის სანიავებელი მანქანები იმ დროს, როდესაც მას ესაჭიროება გუთნები და ტრიერები. არის შემთხვევები, როცა რაიონები მოითხოვენ გუთნებს, მათ კი უგზავნიან სანიავებელ მანქანებს. რაჭის ყველა რაიონებში საგრძნობია შესაწამლი მასალის სიმცირე, რის გამოც თესლი შეუწამლავად ითესება.

„კაპიტალი“ ქართულ ენაზე*)

„კაპიტალის“ პირველი ტომის ქართულ ენაზე გამოსვლა უდიდეს მოვლენას წარმოადგენს არა მარტო სალიტერატურო დარგში, არამედ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამით ქართველი მშრომელი ხალხი ეზიარება იმ დიდ გონებრივ საგანძურს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოუშვია ევროპის კულტურას და გენიოსური შემოქმედებით აღუბეჭდავს პროლეტარიატის იდეოლოგს. შემთხვევითი არ არის, რომ ეს დიდი საქმე შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც მონობიდან განთავისუფლებული ხალხი, ერთის მხრივ, ძირიანად სპობს იმ საწარმოო ურთიერთობებს, რომელთა მეცნიერულ ანალიზს წარმოადგენს „კაპიტალი“, ხოლო, მეორეს მხრივ, ხარბად ეწაფება აქ გაშლილ შეუდარებელ კვლევა - ძიებას და მის შედეგებს, რომელიც გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია მთელი თანამედროვე სოციალისტური აღმშენებლობისა. კაპიტალის მეცნიერული ანალიზი ქართული „კაპიტალის“ სახით და კაპიტალის პრაქტიკული მოსპობა იმავდროულ მოვლენებს წარმოადგენენ ჩვენში, მაგრამ ამით სრულიად არ ეკარგება „კაპიტალს“ თავისი დიადი მნიშვნელობა, რადგან მასში მოცემულ კვლევა-ძიების მეთოდს, ცხოველ დიალექტიკას, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტად საჭიროებს როგორც განთავისუფლებული, ისე მებრძოლი მშრომელი კაცობრიობა.

ეს უეჭველია საერთოდ „კაპიტალის“ შესახებ; კერძოდ მის ქართულ თარგმანზე კი — ეს ითქმის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეეფერება ორიგინალს, რამდენადაც წარმოადგენს მის უტყუარ გადმოცემას ქართულ ენაზე. როგორ არის ამ მხრივ საქმე? ეს შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როდესაც მკითხველი გაეცნობა თუ რა პირობებში იქნა შესრულებული ეს თარგმანი.

ძირითად ტექსტს როგორც თარგმანის, ისე რედაქციის დროს წარმოადგენდა გერმანული ტექსტი. რედაქცია შესრულებულ იქნა კ. კაუცკის 1928 წლის სახალხო გამოცემის მიხედვით (Das Kapital, Volksausgabe herausgegeben von Karl Kautsky. Achte unveränderte Auflage, 1928, J. H. W. Diez Nachf., G. m. b. H. Berlin).

სარგებლობდით აგრეთვე ძველი გამოცემითაც:

რედაქციის გაკეთების დროს ვხელმძღვანელობდით თვით ავტორის მიერ შესწორებული ფრანგული გამოცემით (Le Capital par Karl Marx, traduction de M. J. Roy, entiérement revisée par l' auteur, Paris), რომელსაც მარქსი აკუთვნებდა „ორიგინალიდან დამოუკიდებელ სამეცნიერო ღირებულებას“.

ხშირად მივმართავდით ამა თუ იმ ადგილის სწორად გაგების შესამოწმებლად რუსულ თარგმანებს, რომელთაგან ჩვენ ხელთ გვქონდა 1) Карл Маркс, Капитал, том первый, перевод под редакцией В. Базарова и И. Степанова, Москва—Левинград, 1929 г.; 2) Институт К. Маркса и Ф. Энгельса. Общая редакция Д. Рязанова и И. Степанова, Карл Маркс, Капитал, том первый, перевод под редакцией В. Базарова и И. Степанова; 3) Карл Маркс, Капитал, том первый, полный перевод с 4-го издания под редакцией Струве, Петербург, 1906 г.

დამხმარე წყაროს წარმოადგენდა ახალი ფრანგული თარგმანი: Le Capital, traduit par J. Molitor, Paris, 1924.

მარქსის მიერ მოყვანილი უცხო ავტორთა ციტატები, რომლებიც ძველ გამოცემებში უცხო ენებზეა მოყვანილი, ხოლო ახალ, კაუცკის გამოცემაში თარგმნილია გერმანულად, ჩვენს მიერ ითარგმნა და მათ რედაქცია გაუკეთდა ორიგინალების მიხედვით.

კაუცკის კომენტარიები მეტწილად ჩვენს მიერაც ნათარგმნია და აღნიშნულია ოთხკუთხი ფრჩხილებით [ ] და ასოთი კ.

ჩვენი თაოსნობით ფრანგული თარგმანიდან შეტანილია ერთი შენიშვნა მე-13 თავში, რომელიც აღნიშნულია ციფრით 219a და შეეფერება ფრანგული ტექსტის 191 გვერდზე მეორე სვეტში მოთავსებულ მეოთხე შენიშვნას, რომელიც გერმანულ ტექსტში არ მოიპოვება.

ძველი გერმანული გამოცემიდან ჩვენს მიერ თარგმნილია ფ. ენგელსის წინასიტყვაობები, რომლებიც კაუცკის ხსენებულ გამოცემაში გამოტოვებულია.

თარგმანი შესრულდა დავით ონიაშვილმა. უნდა ითქვას, რომ ასეთი ფრიად საპასუხისმგებლო და მძიმე საქმე ერთი კაცის ძალღონეს აღემატება, მეტადრე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის პირობებში. საქმეს აძნელებს არა მარტო ტერმინების უქონლობა, არამედ — უფრო მეტად ის, რომ ქართული ენა ჯერ შესაფერად ვერ დამუშავებულა, ვერ მოქნილა მეცნიერულ - ფილოსოფიური აზრების გადმოღებისა და შეთვისებისათვის. ყოველ მუშაკს ამ დარგში სრულიად უცხო ნიადაგი ხვდება წინ. „კაპიტალი“ კი ერთი უდიდესი მეცნიერული შრომაა ურთულესი სოციალური მოვლენების შესახებ. და რა გასაკვირია, თუ ასეთ პირობებში, მთარგმნელი ჩვეულებრივი ხერხით — წინადადებების დაშლით, სიტყვების გადასმ - გადმოსმით, რთული პერიოდების გამარტივებით და სხვ., სიძნელეს ვერ დასძლევს და ხშირად წინააღმდეგ შედეგს აღწევს. „კაპიტალის“ სწორ თარგმანში ლოგიური მახვილი ყოველ წინადადებას შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს აბზაცში და მთელი აბზაციც ისე დალაგდეს, რომ იქ ჩნდეს წინა აბზაცებთან დამაკავშირებელი ძაფი. და ეს კი ერთ პირისთვის ადვილი საქმე არ არის — სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ის — მთარგმნელი თუ რედაქტორი.

ამიტომ საჭირო შეიქნა სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ძირიანად უნდა გადაემუშავებია ქართული ტექსტი. სარედაქციო კოლეგიაში ჩემს მიერ მოწვეულ იქნენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი და ამავე უნივერსიტეტის ლექტორი ბიძინა რამიშვილი.

მთარგმნელთან ერთად ეს კოლეგიაა პასუხისმგებელი ქართული თარგმანის სიავკარგისა.

პირუთვნელი კრიტიკა ანგარიშს გაუწევს იმ სიძნელეებს, რომლებიც აუცილებლობით გვეღობებოდა წინ და რომელნიც, შეიძლება სავსებით ვერ დავძლიეთ. მაგალითისათვის დავასახელოთ გერმანული ტერმინები: 1) Produktion, 2) Produktivkraft der Arbeit, 3) Produktivkräfte 4) Produktivität der Arbeit. ეს სიტყვები ყველა ერთი ძირიდან არის წარმომდგარი; რუსულ ენასაც მოეპოვება შესაფერი ტერმინოლოგია: 1) Производство, 2) Производительная сила труда, 3) Производительные силы, 4) Производительность труда. ქართულადაც სასურველი იყო ტერმინების ერთი ძირიდან გამოყვანა, მაგრამ რაკი Produktion ითარგმნება როგორც „წარმოება“, ხოლო Produktivität der Arbeit როგორც „შრომის ნაყოფიერება“, ეს მთლიანობა დაირღვა და ტერმინებმაც აჭრელებული სახე მიიღო: 1) წარმოება, 2) შრომის პროდუქტიული ძალა ან საწარმოო ძალა, 3) საწარმოო ძალები, 4) შრომის ნაყოფიერება.

არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს ტერმინი Reproduktion რუსულად **воспроизводство**, როდესაც ეს ტერმინი გვხვდება არსებითი სახელის ფორმაში, შეგვიძლია ვიხმაროთ უცხო ტერმინი — რეპროდუქცია, მაგრამ ზმნის ფორმაში ეს გამოუსადეგარია და აუცილებელი ხდება ხმარება სიტყვებისა „აღდგენა“ ან „განახლება“, თუმცა აქ იგულისხმება არა მკვდრის აღდგენა ან ძველის განახლება, არამედ — ხელახალი ან განმეორებული წარმოება.

ბევრს ეხამუშება ჩვენს მიერ დადგენილი ტერმინი „შრომის ხელფასი“, რადგან უკვე იხმარებოდა „სამუშაო ქირა“. იქნებ გაგვამართლოს ამ შემთხვევაში იმ გარემოებამ, რომ ჩვენ მივდევდით მარქსის ტერმინის გრამატიკულ-ეტიმოლოგიურ ფორმას Arbeitslohn, და ჩვენი პროფესიონალური კავშირების პრაქტიკაში მიღებულ ცნებას — „ხელფასი“.

აღარას ვიტყვით სხვა ცნებასა და სალექსიკონო მასალაზე, რომლითაც ასე მდიდარია „კაპიტალი“. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თითქმის არც ერთი გამოთქმა, არც ერთი სიტყვა ჩვენ არ გამოგვიტოვებია, ყველა მათ ჩვენ მოვუპოვეთ ქართულ ენაზე შესაფერი მასალა. დავასახელებთ ამ მხრივ ყველაზე ძნელ ადგილს, — საათის ნაწილების სახელებს (გვ. 295 და 296); ქართულ სიტყვებთან ერთად აჭრელებულია გერმანულ - ფრანგულიც. მაგრამ თვით გერმანულ ტექსტშიაც არ არის ნათარგმნი ფრანგული სიტყვები და რუსულ თარგმანშიაც უფრო მეტია ეს უცხო სიტყვები, ვიდრე ქართულში. ამის მიზეზი ის არის, რომ საათის მანუფაქტურის კლასიკურ ქვეყანას ფრანგულად მოლაპარაკე შვეიცარია წარმოადგენს, სადაც ჩამოყალიბდა ეს სიტყვები, რომლებსაც პროდუქტთან ერთად ითვისებენ სხვა ერები.

ჩვენ აქ ვერ ამოვსწურავთ ყველა ამგვარ სიძნელეს და არც გვაქვს პრეტენზია ჩვენი თარგმანი უნაკლოდ გამოვაცხადოთ. სრულქმნილი არაფერია და ჩვენს თარგმანსაც ცოტად თუ ბევრად ახლავს, ალბათ, ამა თუ იმ თვისების ნაკლი. თვით გერმანული ტექსტიც, დაბეჭდილი გაცილებით უკეთესი ტექნიკის პირობებში, არ არის თავისუფალი ზოგიერთი ნაკლისაგან, როგორც კორექტურული ხასიათის, ისე არსებითი მნიშვნელობისაც, — და ეს მას შემდეგ, რაც **კაუცკიმ** უკვე გასწმინდა იგი ძველი გამოცემების შეცდომებიდან. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: (წინასიტყვაობაში მოყვანილი მაგალითები ჩვენ გამოვტოვეთ წერილის შემცირების მიზნით. რედ.)

ამით არ ამოიწურება ყველა ის შეცდომა და ნაკლი, რომელიც რუსული თარგმანის ჩემს სამუშაო ეგზემპლიარშია აღნიშნული. და რადგანაც ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა ამ შეცდომების ძებნა, უეჭველია, ნამდვილად მათი რიცხვი მეტი იქნება. და ეს ისეთ თარგმანში, რომელსაც ხანგრძლივი და საყურადღებო ისტორია აქვს. მისი პირველი გამოცემა 1872 წელს გამოვიდა ნიკოლაი — ონის რედაქციით (ე. ი. გერმანულ გამოცემაზე მხოლოდ ხუთი წლით არის დაშორებული) და 1929 წლამდე 12-ჯერ გამოიცა. ეს თორმეტი გამოცემა ხუთი სხვადასხვა რედაქციით არის გამოსული:

1) ნიკოლაი — ონის — 1872 და 1898 წლ.
2) ლიუბიმოვის — 1898 წლ.
3) სტრუვეს — 1899, 1906, 1907 წ.
4) ბაზაროვის და სტეპანოვის — 1909, 1920, 1923 (ხარკოვი), 1928 და 1929 წლ.
5) ბაზაროვის და სტეპანოვის, საერთო რედაქცია რიაზანოვის და სტეპანოვის — 1923 წ. (მოსკოვი — პეტროგრადი).

არსებობს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბეჭდილი გამოცემაც. ამჟამად კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინსტიტუტს (მოსკოვში) განზრახული აქვს ახალი რედაქციით გამოუშვას სრული რუსული თარგმანი 1931 წელს.

ყოველივე ეს მოწმობს საქმის სიძნელეს და ჩვენ, ზოგად სიძნელეთა გარდა, წინ გვეღობებოდა ბევრი სხვა დაბრკოლება, რომელიც საკუთრად ქართულ თარგმანს ახლავს. მაგრამ მკითხველს აინტერესებს არა თავისთავად სიძნელე და მის დასაძლევად გაწეული ჯაფა, არამედ — მიღწეული შედეგი. ეს შედეგი კი მისთვის ასეთ კითხვაში გამოიხატება: ადვილი წასაკითხავია თუ არა „კაპიტალი“?

„კაპიტალი“ არ არის ადვილად წასაკითხავი წიგნი. და ამის მიზეზია უმთავრესად არა მისი ენა, არამედ მისი საგანი — მეტად რთული სოციალური ურთიერთობანი — და მისი ღრმა-მეცნიერული ანალიზი. აქ მოვლენები შეუწყვეტელ ცვალებადობაში არიან, ერთი მეორეში გადადიან, შედეგის სახით წარმოშობილნი თვით მიზეზად ხდებიან, თავისი აღმოცენების, განვითარების და გაქრობის მომენტებით მკაცრად არ იმიჯნებიან, დიალექტიურად ერთი მეორეში იხლართებიან, იქსოვებიან და ქმნიან იმ მუდმივი დაუდგრომლობის სურათს, რომელიც თავისებით არ წააგავს ჩვეული მსჯელობისათვის ხელმისაწვდენ განმარტოებულ, ჩამოყალიბებულ საგანს და წარმოადგენს პროცესს — მეცნიერულ - ფილოსოფიური კვლევის საგანს. არა თუ ამ მოვლენების კვლევას, თვით გამოკვლეულის გაგებასაც შესაფერი მომზადება უნდა. ეს კი მოითხოვს დიდ მოთმინებას სწავლის დროს და შესაფერად გამობრძმედას.

რა თქმა უნდა, უხეირო თარგმანი შეუძლებლად ხდის აზრის გაგებას დიდი მოთმინებით აღჭურვილი მკითხველისთვისაც. არც ახლად შექმნილი, ყურისთვის შეუჩვეველი ტერმინები აადვილებს ამ საქმეს. მაგრამ რაგინდ დახელოვნებული მთარგმნელიც იყოს, ის ვერ მოახერხებს მარტივი, სამოთხრობო ენით გადმოსცეს რთული პოლიტიკო - ეკონომიური ცნებები და დებულებები. შეიძლება წინადადებაში ყოველი ცალკე სიტყვა გესმოდეთ და მათი შეწყობით გადმოცემული აზრი კი მაინც მიუწვდომელი იყოს თქვენთვის.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს თვით ამ თარგმანიდან.

„პირველი შეხედვით, მართლაც არა ჩანს, რომ საყოველთაო უშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმა, საქონლის წინააღმდეგობითი ფორმაა და რომ იგი ისევე განუყრელია არაუშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმასთან, როგორც მაგნეტის დადებითი და უარყოფითი პოლუსი“ (გვ. 35, შენიშვნა 24).

თქმა არ უნდა, ეს ადგილი ძნელი გასაგებია. აქ საქმეს აძნელებს ტერმინები „უშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმა“ და „არაუშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმა“. მაგრამ ვინც გულდასმით შეისწავლის წინა გვერდებს, მისთვის ეს სიძნელე გამქრალია, რადგან მან იცის, რას ნიშნავს როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა. ხოლო წინასწარი მომზადების და გაწვრთნის გარეშე თვით რუსული ენაც, რომელზედაც დიდი ხანია დამუშავებულია ტერმინები, ვერ იძლევა ერთბაშად გაგების შესაძლებლობას, რაც ნათელი ხდება, თუ შევადარებთ შესაფერ ადგილს:

„Форма всеобщей непосредственной обмениваемости не обнаруживает при первом взгляде на нее того обстоятельства, что она — противоречивая товарная форма, также неразрывно связанная с формой не непосредственной обмениваемости, как положительный полюс магнита с его отрицательным полюсом“ (გვ. 28).

აშკარაა, აზრის გასაგებად აქაც წინასწარ უნდა იცოდე, თუ რას ნიშნავს **непосредственная обмениваемость** და **не непосредственная обмениваемость**. სწორედ ისე როგორც ქართულ ტექსტის გასაგებად საჭიროა შესაფერ ტერმინების წინასწარ ცოდნა.

„კაპიტალში“ ხშირად გვხვდება რთული წინადადებები, რაც უეჭველია, აძნელებს კითხვას. საქმის გასაადვილებლად ხშირად დაშლიან მთლიან წინადადებას და დამოუკიდებელ წინადადებებად ანაწილებენ. მაგრამ ეს ხერხი მუდამ ვერა სჭრის, ყოველ შემთხვევაში, „კაპიტალის“ მიმართ. წინადადების დაშლას ხშირად ულმობელად სდევს თან აზრის დაშლაც, ე. ი. მისი დაჩლუნგება და გაყალბება. ამიტომ არის, რომ არც ფრანგული და, მეტადრე, არც რუსული თარგმანი ჩვეულებრივად არ მიმართავს ამ ხერხს და ამჯობინებს გაჰყვეს ორიგინალში მოცემულ წინადადებათა წყობას. საკმაოა, მაგალითად, რომ შემდეგმა რთულმა წინადადებამ მიიღოს რამე პატარა-პატარა წინადადებებად დაშლით:

„При так называемом домашнем труде эксплоатация приобретает еще более бесстыдный характер, чем в мануфактуре, потому что способность рабочих к сопротивлению уменьшается их разделением, и потому что между собственно работодателем и рабочим вторгается целый ряд хищных паразитов, потому что домашний труд повсюду борется с машинным или по меньшей мере мануфактурным производством той же самой отрасли, бедность похищает у рабочего необходимейшие условия труда,—просторное помещение, свет, вентиляцию и т. д. нерегулярность занятий растет и, наконец, потому что в этих последних убежищах для всех, кого крупная промышленность и земледелие сделали „излишними“, конкуренция между рабочими необходимо достаат своего максимума“. (გვ. 357—58).

მოგვყავს იგივე ადგილი ქართული თარგმანის მიხედვით:

„ეგრეთწოდებულ შინაწარმოებაში უფრო უსირცხვილო ექსპლოატაცია, ვიდრე მანუფაქტურაში, რადგან მუშების მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი შერყეულია მათი დაქსაქსვის გამო; რადგან ნამდვილ სამუშაოს მიმცემსა და მუშის შორის შეჭრილია მძარცველ პარაზიტთა მთელი ხროვა; რადგან შინწარმოება ყველგან ებრძვის იმავე დარგის მანქანურ ან, ყოველ შემთხვევაში, მანუფაქტურულ წარმოებას; რადგან სილარიბის გამო მუშა მოკლებულია უსაჭიროეს შრომის პირობებს: ფართო სადგომს, სინათლეს, ვენტილაციას და სხვ., რადგან აქ უფრო (უფრო მეტად აქვს ადგილი მუშაობის არარეგულიარობას და, ბოლოს, რადგან ამ თავშესაფარია ყველა იმათთვის ვინც „ზედმეტად“ აქცია მსხვილმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ, ამ გამო აქ კონკურენცია მუშებს შორის ძალაუნებურად უმაღლეს წერტილს აღწევს“ (გვ. 411).

რაც უნდა შალოთ ეს წინადადება, მაინც ვერ ჩამოაყალიბებთ მარტივ წინადადებად, რადგან მთავარი წინადადების ღუტები მოითხოვს მთელ რიგ, თავისებურ განმარტოებულ, გარემოებათა ნამდვილობით აღნუსხვას. მაგრამ უნდა თუ რომ შესაძლო იყოს ეს და მთავარი აზრის დაუზიანებლად, რუსული და ფრანგული თარგმანები ურჩევენ მას, ალბად, იმ მოსაზრებით რომ წვრილმანებშიაც დაიცვან დედნის ნამდვილი სახე, დაიცვან ავტორის სტილი. ეს „წვრილმანი“ კი არც ისე უმნიშვნელოა, მეტადრე ისეთი აზრის მიმართ, როგორიც არის მარქსი. ავტორი საცნაური უნდა იყოს არა მარტო მისი აზრებით, არამედ — მისი გამოთქმით, მისი სტილით, რა ენაზეც უნდა იყოს გადმოცემული თხზულება. ამაში ვხედავთ ჩვენი თარგმანის ერთ უტყუარ ღირსებას. აშკარაა, ასევე უყურებენ საქმეს სხვა ენებზე თარგმანის მთარგმნელ - რედაქტორები. უეჭველად მარქსის სტილს დამახასიათებელია შემდეგი ფრაზა როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე:

„В самом деле, основательные и добросовестные исследования „Children's Employment Commission“ доказывают, что в некоторых от-

---

*) წერილი წარმოადგენს „კაპიტალის“ ქართული თარგმანის რედაქტორის წინასიტყვაობას (ნაწილობრივ შემოკლებულს), რომელიც დართული ექნება წიგნს.

რედ.

დაუნდობლად აღმოვფხვრათ გულგრილი დამოკიდებულება საწ.-საფინ. გეგმისადმი

ბორჯომის შუშეულის
ახალ-დაბის სახერხი
1-ლი სახერხი
მარელისის ავეჯეულის

ქარხნები

სამარცხვინოდ ჩამორჩებიან საწ.-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში

სოც შეჯიბრების შედეგების შემოწმება გადავაქციოთ საწ.-საფინანსო გეგმის განხორციელების მძლავრ იარაღად

დავალება არ არის შესრულებული

ბორჯომი, 29 მარტი. შუშეულის ქარხანაში თებერვალში გამომუშავებულ იქნა 293 ტონა შუშა—20 პროცენტით ნაკლები თებერვლის პროგრამაზე. პროგრამის შეუსრულებლობას ადმინისტრაცია ხსნის იმით, რომ თებერვალში ბევრი მუშა საყოველთაო სამხედრო სწავლებაზე იყო გაწვეული, ბევრი გაგზავნილი იყო სოფლად თესვის კამპანიისა და კოლექტივიზაციის გასატარებლად და სხვ. ამ გარემოებამ ქარხანას თებერვალში 589 კაც-დღე დააკლო (ადს).

სოც შეჯიბრების შედეგების შემოწმების წინ

ქარხანა, რომელსაც დაავიწყდა სოცშეჯიბრება

1-ლ სახერხ ქარხანას ჯერ კიდევ ა.-წლის პირველ კვარტალის დასაწყისში უნდა დაედო ხელშეკრულება მეხუთე სახერხ ქარხანასთან, მაგრამ უკვე მეორე კვარტალი თავდება და აღნიშნულ ქარხნებს შორის შეჯიბრება კიდევ არაა დაწყებული.

5 აპრილიდან პროფესიონალური კავშირების ხაზით იწყება სოც. შეჯიბრების შედეგების შემოწმება ყველა წარმოებებში, მაგრამ დასახელებულ ქარხანაში შესამოწმებელი არაფერი იქნება. ქარხნის მუშებს შორის შეჯიბრება მიმდინარეობდა 1929 წლის აპრილიდან მხოლოდ ოქტომბრამდე. ოქტომბერში ჩატარებული შემოწმების შემდეგ კი არც ქარხანასთან არსებულ ადგილობრივ პროფორგანოს და არც სხვა ვინმეს თავი არ აუტკივებია იმაზე, რომ სოციალისტური შეჯიბრება კვლავ განეახლებია და გაეფართოვებია.

საწარმოო გეგმას ქარხნის ადმინისტრაცია არ იცნობდა

საფეურნეო წლის დასაწყისიდანვე, თბილისის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ბედი არ იყო გამორკვეული. არავინ იცოდა თუ რამდენათ იქნებოდა ქარხანა უზრუნველყოფილი ნედლი მასალით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამა თუ იმ მოცულობის საწარმოო გეგმის შემუშავება. ნედლი მასალის მომარაგების საკითხმა დააბრკოლა ქარხნის საწარმოო გეგმის შემუშავების საქმე და მართლაც მთელი 1-ლი კვარტალისა და მეორე კვარტალის ორი პირველი თვის განმავლობაში ქარხანა „ზეპირათ" მუშაობდა.

მხოლოდ მარტის 1-ლ რიცხვებში მიიღო სატყეო მრეწველობის ტრესტიდან ქარხნის ადმინისტრაციამ მთელი წლის საწარმოო გეგმა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ არიან გაცნობილი წარმოების მუშები საწარმოო გეგმას და არის თუ არა საწარმოო გეგმა განაწილებული თვითეულ ცეხსა და დაზგას შორის.

განვლილი თვეების საწარმოო გეგმები სრულდებოდა მხოლოდ ვარაუდით. ქარხანამ თებერვალში გადაამუშავა 1.046,7 კუბიკური მეტრი ხე-ტყე, ხოლო ზუსტად არავინ იცოდა, თუ რამდენი უნდა გადაემუშავებია. ამიტომ ქარხნის ადმინისტრაცია ფიქრობდა, რომ თებერვლის პროგრამა შესრულებულია დაახლოებით 97,7 პროცენტითო; საწარმოო გეგმის მიღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თებერვლის გეგმა შესრულებული იყო 99,6 პროცენტით.

მარტში ქარხანამ შედარებით უფრო გააუმჯობესა მუშაობა, რადგან გაზაფხულის დადგომისთანავე გაადვილდა ქარხნისათვის ნედლეულის მიწოდება. 25 მარტამდე ქარხანამ გადაამუშავა 1.108 კუბ. მეტრი ხე-ტყე და ამიტომ უკვე არის იმედი, რომ მარტის საწარმოო გეგმას იგი გადაჭარბებით შეასრულებს.

დამკვრელი ქარხანა

გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული

ბორჯომის გაზის და ჩამსხმელ ქარხანაში 1929 წლის საწარმოო გეგმის მიხედვით უნდა ჩამოსხმულიყო 8.330.000 ბოთლი წყალი, სინამდვილეში კი ჩამოსხმულია 9.381.000 ბოთლი, გეგმა შესრულებულია 13 პროც. გადაჭარბებით. წყლებით სავსე ბოთლების ჩაწყობა საწარმოო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 9.000.000 ბოთლი, ფაქტიურად ჩაწყობილია 9.702.000 ბოთლი, გეგმა შესრულებულია 8 პროც. გადაჭარბებით. საცობი (პრობკა) გეგმის მიხედვით უნდა გაკეთებულიყო 13.000.000 ცალი, ფაქტიურათ გაკეთებულია 6.204.000 ცალი, გეგმა შესრულებულია 52 პროც.

ნახშირმჟავა გაზი გეგმის მიხედვით უნდა დამზადებულიყო 192.000 კგრ., ფაქტიურად დამზადდა 240.000 კგრ, გეგმა შესრულებულია 25 პროც. გადაჭარბებით.

1930 წლის პირველ კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში შემდეგი სურათი გვაქვს: გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო, რომ ჩამომსხმელ ცეხის მუშაობა იანვარში შეჩერებულიყო, რათა ახალი მანქანები მოეწყოთ და შეეკეთებინათ. ცეხის მოწყობა პირველ თებერვლამდე უნდა დამთავრებულიყო, აქედან უნდა დაწყებულიყო ჩამოსხმა პირველ წყებად, პირველ მარტიდან კი ორ წყებად, მაგრამ ეს გეგმა ჯერ შესრულებული არ არის.

გეგმის მიხედვით წყალი უნდა ჩამოსხმულიყო 620.000 ბოთლი, ფაქტიურად ჩამოსხმულია 679.000 ბოთლი, გეგმა 10 პროც. გადაჭარბებით არის შესრულებული.

ნახშირმჟავა გაზი გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო 15.000 კილგ., არის 17490 კილგ., შესრულებულია 17 პროც. გადაჭარბებით.

საცობი (პრობკა) უნდა დამზადებულიყო 1.60.000 ცალი, დამზადებულია 2.528.000 ცალი, ანუ 58 პროც. გადაჭარბებით.

საცობის (პრობკის) ცეხს ნედლი მასალა მომარაგებული აქვს პირველ აპრილამდე. ახალი ქერქი კი ჯერ კიდევ არ არის მიღებული, ქერქი მოდის ისპანიიდან. არავინ იცის, მივიღებთ თუ არა დროზე საცობის ნედლეულს.

ამ ბოლო ხანებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მუშებმა მთელი ქარხანა დამკვრელ ქარხანად გამოაცხადეს.

კომკავშირის ინიციატივით ჩამოყალიბებულია კომკავშირული ჩამომსხმელი ცეხი, სადაც მუშაობს 18 კომკავშირელი 2 წყებად. ცეხში მომუშავე ახალგაზრდობა გამოცხადებულია ლენინის სახელობის დამკვრელ ბრიგადად.

ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს ინდივიდუალური შეჯიბრებანი, ამ მიზნით იდება ხელშეკრულებები.

კომკავშირელებს შორის იზრდება შრომის დისციპლინა. იყო ერთი შემთხვევა: კომკავშირელი შალუტაშვილი სისტემატიურად აცდენდა დღეებს. უჯრედმა იგი გაასამართლა და მოხსნა სამუშაოდან. 15 მარტიდან გაზისა და ჩამომსხმელი ქარხანა გადავიდა განუწყვეტელ კვირაზე და 7 საათის სამუშაო დღეზე.

ირ. ნუცუბიძე.

ახალდაბის სახერხი ქარხანა კვლავ ჩამორჩენილია

23 მარტამდე, ახალდაბის სახერხმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა მხოლოდ საკუთარ მასალის დამზადების გეგმა. მარტის განმავლობაში ქარხანას უნდა გამოეშვა 9.900 კვ. ვერშოკი საკუთარ მასალა, ხოლო 23 მარტამდე ქარხანას უკვე დამზადებული ჰქონდა 11.478 კვ. ვერშოკი მასალები.

სამაგიეროთ ქარხანა მნიშვნელოვან ჩამორჩენილობას იძლევა საამშენებლო ხე-ტყის დამზადების საქმეში. მარტის განმავლობაში, საწარმოო გეგმის თანახმად ქარხანამ უნდა დაამზადოს 3872 კუბ. მეტრი მასალები და 23 მარტამდე კი დამზადებული იყო მხოლოდ 1130 კუბ. მეტრი ხე-ტყე. ამგვარად ქარხანა იძლევა უდიდეს ჩამორჩენილობას ამჟამად ყველაფერზე უფრო საჭირო პროდუქციის დამზადებაში.

უკანა რიგებში

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის ყოველდღიური პროგრამა გულისხმობს 660 სკამის გამოშვებას, ფაქტიურად კი მზადდება მხოლოდ 550 სკამი.

ეს გარემოება საწარმოო გეგმის ჩაფუშვას მოასწავებს. საწარმოო პროგრამის ყოველდღიურად შეუსრულებლობა ადმინისტრაციის დაუდევრობით ხდება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ ღებულობს ზომებს გასამშრობ სამქროს მოწყობის დასაჩქარებლად. ამ საამქროს მოუწყობლობა კი, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს მუშაობის შეფერხებას.

ახირებული თავის მართლება

განმარტება ბორჯომში დაკავებული ტივების შესახებ

გუშინ ჩვენმა რედაქციამ ახალციხიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

გაზ. „კომუნისტი"-ს 22 მარტის ნომერში მოთავსებული ცნობის გამო, ბორჯომში ტივების დაკავების შესახებ, სამშრომბიუროსთან შესდგა სპეციალური თათბირი, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირზე გამოირკვა, რომ ბორჯომში დაკავებული იყო 20 ტივი და ისიც ორი დღით, ახალციხის ტყეების უფროსის განკარგულებით, რომელსაც თავის მხრივ, აღნიშნული ნაბიჯის გადადგმის შესახებ, მიღებული ჰქონდა წინადადება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო სამმართველოდან და ფინსახკომიდან. რაც შეეხება ცნობას, თითქოს ტყეში მუშაობა შეწყვეტილი იყო 9 დღით — არ შეეფერება სინამდვილეს. თათბირმა აღიარა, რომ უმთავრესი დამნაშავე ამ საქმეში იყო საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი, რომელმაც დღემდე კიდევ ვერ გადაუხადა ახალციხის ტყეების სამმართველოს ძველი დავალიანება.

მუშგლეხინის რწმუნებული — კატალევსკი.
სამშრომბიუროს თავმჯდომარე—იგითხანოვი".

გაზ. „კომუნისტის" 22 მარტის ნომერში გამოქვეყნებული იყო ახალციხიდან მიღებული ოფიციალური დეპეშა, რომელშიაც იტყობინებოდნენ, რომ დაკავებული იყო არა 20, არამედ 40 ტივი. შესაძლებელია იმ დროისათვის ყველა ტივები კიდევ არ იყვნენ მოსული ბორჯომის საკონტროლო პუნქტამდე, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ფაქტია, რომ აკრძალვის პერიოდში ბორჯომიდან თბილისისაკენ არ გამოუშვიათ არც ერთი ტივი. მეორეს მხრივ, ამხ. კატალევსკი და იგითხანოვი იუწყებიან, თითქოს აკრძალვა მომხდარიყოს მიწსახკომის სატყეო სამმართველოსა და საქ. ფინსახკომის განკარგულებით. ჩვენ კი მიღებული გვაქვს ოფიციალური ცნობა, რომ სწორედ ფინსახკომის ნებართვით სატყეო მრეწველობის ტრესტს გადრიცხული ჰქონდა დავალიანების დაფარვის ვადა 15 მარტიდან 25 მარტამდე. ვადის გაგრძელების შესახებ ცნობა მიღებული ჰქონდა და თანხმობაც განაცხადა სატყეო სამმართველომაც. ამიტომ იყო, რომ 19 მარტის თარიღით ახალციხიდან გადმოგზავნილი დეპეშის გაზეთში მოთავსების შემდეგ (ტყეში მუშაობის აკრძალვისა და ტივების შეჩერების შესახებ), მიწათმოქმედების კომისარიატში განაცხადეს, რომ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ ვის შეეძლო აკრძალვის შესახებ განკარგულება მოეხდინაო.

აქვე საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ არსებული დებულების თანახმად, ტყეთა უფროსებს უფლება აქვთ ტყეში მუშაობის შეჩერებისა მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე ცენტრში უკვე მოხდა შეთანხმება და მიღებულიც იყო დადგენილება, რომ ტყეების დამზადება არავის დაებრკოლებია, ჩვენის აზრით ახალციხის ტყეთა უფროსის განკარგულება მუშაობის აკრძალვისა და ტივების შეჩერების შესახებ უნდა ჩაითვალოს დაუშვებელ საქციელათ.

სატყეო მრეწველობის ტრესტს, რომელიც არ უწევს ანგარიშს არც თავისი დავალიანების გასტუმრების საჭიროებას და არც, კერძოთ, ახალციხის სატყეო დამამზადებელ რაიონში შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ტივების დაკავებით და ტყეში მუშაობის აკრძალვით, ზარალი საერთოდ სახელმწიფომ ნახა, ხოლო ახალციხის სატყეო მეურნეობას ამით არაფერი შემატებია. **დ. ლ.**

ფოთის რაიონის ტყეებში

მუშაობა აღდგენილია

გაზ. „კომუნისტში" მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფოთის რაიონის ტყეებიდან აკრძალეს სატყეო მასალების გამოტანა, რასაც შეეძლო ჩაეშალა საექსპორტო შპალების დამზადების გეგმა.

აღნიშნული ცნობის გამო, გუშინ სატყეო მრეწველობის ტრესტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ სასწრაფოდ მიღებული ზომებით ფოთის რაიონის ტყეებში მუშაობა კვლავ აღდგენილია და მასალის ტყიდან გამოტანა დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

მომავალში ტყეებში მუშაობის შეჩერების თავიდან ასაცილებლად საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულმა სატყეო მასალათა დამზადების დარგში ამხ. გოორგყურულაშვილმა სატყეო რაიონების გამგეებს და ტყის მასალათა დამზადების ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცა დირექტივა: არავითარ შემთხვევაში არ აკრძალონ ტყეებში მუშაობა ცენტრის ნებადაურთველად.

ასეთი განკარგულებები დაეგზავნა—ახალციხის, ფოთის, სვანეთის, კახეთის, ბორჯომის და სხვა ტყეთა გამგეებს.

ფოთში მტვირთავ მუშების ნაკლებობაა

ფოთი, 29 მარტი. მარგანეცის ტრესტი დაკვრითი წესით შეუდგა გემების დატვირთვას. სამი დღის განმავლობაში დატვირთული იქნება 19.000 ინგლისური ტონა. მარგანეცის ასეთი რაოდენობა ნორმალური მუშაობის დროს 12 დღეში იტვირთებოდა. გემები ვადაზე ადრე გავლენ, რაც რამდენიმე ათას მანეთ ეკონომიას იძლევა. მუშაობა მთელ დღე-ღამეს სწარმოებს. მუშაობს 1.200 მუშა, რის გამოც შრომის ბირჟაზე შავ მუშათა კრი-

კასპის ცემენტის ქარხნის ნაგებობათა შემოწმება

საკავშირო ს.მ.უ.ს. კომისია მიემგზავრება კასპში

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს.მ.უ. საბჭოს სპეციალური კომისია, რომელიც მოვლენილია კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობისა და ცალკე ნაგებობათა სიმტკიცის შესამოწმებლათ. კომისიაში შედიან: საკავშირო ს.მ.უ. საბჭოდან — ამხ. უშაკოვი (კომისიის თავმჯდომარე) და ინჟ. ლევინი, და საზ-ბა „სტრომტროი"-დან ამხ. სკუნდინი და საქ. ს.მ.უ. საბჭოდან ინჟ. ი. გაბუნია. კომისიასთან ერთად ჩამოსული არიან გერმანელი ექსპერტები, რომლებიც ჩაატარებენ ნაგებობათა ტექნიკურ შემოწმებას.

კომისია მოწვეულია საქ. მუშა და გლეხთა ინსპექციისა და საქ. ს.მ.უ. საბჭოს მიერ, რომელთა აზრითაც კასპის ცემენტის ქარხნის ნაგებობებს მრავალი დეფექტი აქვთ.

ამ რამოდენიმე დღის წინათ იმავე ქარხნის ნაგებობათა შემოწმება მოახდინა საქ. ს.მ.უ.ს. მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ნაგებობათა შემსწავლელი ა.-კ. ინსტიტუტის წარმომადგენლები პროფ. ზავრიევი, ინჟ. პატალეევი და საქ. ს.მ.უ.ს. სპეციალისტები. შემოწმების დროს საქ. ს.მ.უ.ს. კომისიას კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობაში არ აღმოუჩენია რაიმე მნიშვნელოვანი დეფექტი.

საკავშირო ს.მ.უ.ს. კომისია დღეს გაემგზავრება ადგილობრივ, სადაც შეაგროვებს ყველა საჭირო მასალებს, ხოლო ნაგებობების სიმტკიცის გამოსარკვევათ საჭირო ლაბორატორიული ცდებისათვის იგი კვლავ თბილისში დაბრუნდება.

კომისია მუშაობას დაასრულებს 4-5 დღეში.

расслях промышленности урегулирование рабочего дня лишь равномернее распределило бы на весь год ту массу труда, которая уже применяется в них; что оно послужило бы первой рациональной уздой для человекоубийственных, бессмысленных и по существу не согласующихся с системой крупной промышленности ветренных капризов моды; что развитие океанского судоходства и средств сообщения вообще устранило собственно техническое основание сезонной работы; что все другие будто не подчиняющиеся контролю условия устраняются расширением помещений, дополнительными машинами, увеличением числа одновременно занятых рабочих и вытекающим из этого обратным влиянием на систему крупной торговли" (გვ. 372).

ჩვენ ვეცადეთ შემდეგნაირად გადმოგვეცა იგივე ქართულად:

„და მართლაც, „Childrens, Employment Commission"-ის საფუძვლიანი და კეთილსინდისიერი გამოკვლევა ამტკიცებს, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამუშაო დღის მოწესრიგებით მხოლოდ უფრო თანაბრად ნაწილდებოდა მთელს წელიწადზე იქ გამოყენებული შრომის მასა; რომ სამუშაო დღის მოწესრიგება პირველ რაციონალურ ლაგამს სდებს ადამიანის მომსპობ, ფუჭსავატ და თავისთავად მსხვილი მრეწველობის სისტემის შეუფერებელ კაპრიზებს მოდისას; რომ საოკეანო ნაოსნობისა და საერთოდ ცნობათა გადაცემის საშუალებათა განვითარებამ გააუქმა სეზონური მუშაობის საკუთრივ ტექნიკური საფუძველი; რომ ყველა სხვა გარემოება, რომელიც ვითომდა კონტროლს არ ემორჩილება, თავიდან აიცილება შენობების გაფართოვებით, დამატებითი მანქანებით, იმავდროულად წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის გადიდებით და აქედან თავისთავად გამომდინარე უკუქცევითი გავლენით მსხვილი ვაჭრობის სისტემაზე" (გვ. 427—428).

როგორც ხედავთ, აქ წინადადება გრძელია, მაგრამ ამავე დროს მისი ავტორი მეტად ძუნწია სიტყვაზე. მას არსად არ წასცდება ერთი სიტყვა იმაზე მეტი, რაც აუცილებლად საჭიროა. თვით მოკლე წინადადებებშიაც ავტორი მუდამ ათავსებს განსაცვიფრებლად მდიდარ - შინაარსიან აზრებს. იქ, სადაც სხვა თავისი აზრის გამოსახატავად მთელ ტომებს მოანდომებდა, მარქსი ერთი კალმის მოსმით აღწევს მიზანს. ამგვარად დაწერილი წიგნი მოითხოვს კითხვის დროს შესაფერი ყურადღების დაჭიმვას, სამაგიეროდ მკითხველი შეუდარებლად მეტს იგებს დახარჯული დროის მიხედვით, შრომის აუცილებელი ნაყოფიერების გამო. „კაპიტალის" კითხვის დროს მუდამ მხედველობაში უნდა იქონიოს მკითხველმა ეს გარემოება, რომლის ნათელსაყოფად ჩვენ არ დავერიდებით კიდევ ერთი ადგილი მოვიყვანოთ როგორც რუსული, ისე ქართული თარგმანიდან:

„Удешевление рабочей силы посредством простого злоупотребления рабочей силой женщин и мололетних, посредством простого лишения труда всех условий, при которых труд и жизнь могут протекать нормально, посредством жестокости чрезмерного и ночного труда, в конце концов наталкивается на известные естественные границы, которых новозможно переступить, а вместе с тем наталкивается на эти границы построенное на таких основаниях удешевление товаров и капиталистическая эксплоатация вообще". (გვ. 364).

იგივე ქართულად ჩვენ შევძელით ასე გვეთარგმნა: „სამუშაო ძალის გაიაფება მარტოოდენ ამ წესით: ქალებისა და მცირეწლოვანთა სამუშაო ძალის ბოროტად გამოყენებით, შრომისა და ცხოვრების ყველა ნორმალურ პირობათა წართმევით, სასტიკი ზომაგადაჭარბებული შრომის და ღამით წარმოებული შრომის გამოყენებით — ბოლოს და ბოლოს გარდუვალ ბუნებრივ ზღუდეს აწყდება და მასთან ერთად ამ ზღუდეს აწყდება ამ საფუძვლებზე დამყარებული საქონლის გაიაფებაც და საერთოდ კაპიტალისტური ექსპლოატაციაც" (გვ. 418).

აქ ამომწურავად არის მოცემული ყველა საშუალება სამუშაო ძალის გაიაფებისა მანუფაქტურის ხანაში, თანაც — არა უბრალოდ ჩამოთვლით, არამედ მათი განვითარების პროცესში განჭვრეტით, როდესაც მათ უკვე მიუღწევიათ უმაღლესი წერტილისათვის და თქვენ გრძნობთ, რომ დგება მომენტი დიალექტიური გარდაქმნისა, როდესაც გარდაუვალ ზღუდეს მიმდგარმა წარმოებამ უნდა იპოვოს გამოსავალი, — და შემდეგ წინადადებაში ავტორი მარტივად გამცნობთ, რომ ეს დიალექტიური გარდაქმნა ხდება მანქანების შემოღებით და საერთოდ საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლით.

კაუცკის თავის წინასიტყვაობაში მოყავს შოპენჰაუერის აზრი, რომელსაც თვითონაც ეთანხმება, რომ ისეთი წიგნის გასაგებად, როგორც „კაპიტალია", იგი ორჯერ მაინც უნდა იქნეს წაკითხული. არამც თუ წიგნისა საერთოდ, არამედ ზოგიერთი მისი ადგილების გაგება აუცილებლად მოითხოვს მათ მეორედ და მესამედ წაკითხვას. მაგალითისათვის მოვიყვანთ არც ისე ძნელ ადგილს.

„Это разложение продукта—результата процесса производства—на количество продукта, воплощающее только труд, заключающийся в средства производства, или постоянную часть капитала, другое количество, воплощающее только необходимый труд, присоединенный в процессе производства, или переменную часть капитала, и третье, последнее количество продукта, воплощающее только прибавочный труд, присоединенный в этом самом процессе, или прибавочную стоимость—это разложение просто, но в то же время и важно, как покажет дальнейшее применение его к запутанным и все еще неразрешенным проблемам" (გვ. 155).

იგივე ქართულად შემდეგნაირად არის თარგმნილი: „პროდუქტის — წარმოების პროცესის შედეგის — ეს დაშლა პროდუქტის რაოდენობად, რომელიც გამოხატავს მხოლოდ საწარმოო საშუალებებში მოთავსებულ შრომას ანუ კაპიტალის მუდმივ ნაწილს, მეორე რაოდენობად, რომელიც გამოხატავს მხოლოდ წარმოების პროცესში მიმატებულ აუცილებელ შრომას ანუ კაპიტალის ცვალებად ნაწილს, და პროდუქტის უკანასკნელ რაოდენობად, რომელიც გამოხატავს მხოლოდ იმავე პროცესში მიმატებულ ზედმეტ შრომას ანუ ზედმეტ ღირებულებას,— ეს დაშლა ისევე მარტივია, როგორც მნიშვნელოვანი, რასაც შემდეგში დაგვანახვებს" (გვ. 180).

„კაპიტალის" წაკითხვა - გაგების გასაადვილებლად ბევრი კომენტარიაა დაწერილი, ბევრნაირი წესია ნარჩევი. არ გამოუდგებით მათი სიავკარგის შეფასებას. უეჭველია, რომ თუ აღწევენ ისინი მიზანს, — მხოლოდ ნაწილობრივად, როგორც ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური თვით ტექსტის წაკითხვისა, რომლის ადგილს ისინი ვერასოდეს ვერ დაიკავებენ. საუკეთესო წესი „კაპიტალის" გაგებისა საბოლოოდ თვით ტექსტის გულმოდგინე და განმეორებითი კითხვაა. კარგი თარგმანი აადვილებს მას, ხოლო ამ თარგმანის სიავკარგეზე საჯოს თვით მკითხველმა, მაგრამ საჯოს მისი გულდასმითი წაკითხვის შემდეგ.

„კაპიტალის" გარეგან ფორმაში ჩვენ ერთი ცვლილება შევიტანეთ, რომელიც განასხვავებს ქართულ გამოცემას გერმანულისა და რუსულისაგან. სხვადასხვა ადგილების მოძებნის გასაადვილებლად აქ წყვილი გვერდი უჩვენებს ამა თუ იმ თავს და მის სათაურს, მაშინ როდესაც რუსული გამოცემა მისდევს იმ წესს, რომ აღნიშნოს შესაფერი განყოფილების და თავის სათაური, ხოლო გერმანული გამოცემა აღნიშნავს თავს და განყოფილებას.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ წიგნისთვის დაგვერთო რეგისტრი, რომელიც შეადგინა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტმა გიორგი გამყრელიძემ. მანვე იკისრა პასუხისმგებელი კორექტორის მოვალეობა. წიგნის სიავკარგე დიდად არის დამოკიდებული კორექტორის უნარზე, და ჩვენი გამოცემის შესახებ კი ეს ითქმის უფრო მეტად. ისეთ წიგნში, როგორც „კაპიტალია" უმნიშვნელო წვრილმანიც კი, თუნდაც ერთი მძიმეს დაკლება ხშირად საბედისწერო შეცდომად ხდება თუ ჩვენ ამ შეცდომებს თავი დავაღწიეთ, ეს უეჭველად ქართული გამოცემის კორექტორის წყალობით, რომელიც არა მარტო ადარებდა კორექტურას ქართულ ტექსტს, არამედ ყოველ საეჭვო გარემოებაში ამოწმებდა მას გერმანულ ტექსტთან. თუ უამრავი ციფრები, ციტატები, უცხო ავტორების დასახელება თავის რიგზეა ამ გამოცემაში, ამაში ყველაზე დიდი დამსახურება მის კორექტორს მიუძღვის.

ეს შრომა შედეგია სარედაქციო კოლეგიის ყოველი წევრის მთელი წლის განმავლობაში თავაუღებელი მუშაობისა.

ქართულ ენაზე „კაპიტალის" მოცემა იყო ის მოტივი, რომელიც ასულდგმულებდა მათ ამ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმის შესრულების დროს.

მალაქია ტოროშელიძე.

მე-2-ე ქართ. დივიზიის პარტკონფერენცია

26 მარტს მეორე ქართულ დივიზიის მეთაურმა ამხ. გიორგაძემ მოხსენება გააკეთა დივიზიის საბრძოლო მომზადების შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა ის პირობები, რომლებშიაც იზრდება და მტკიცდება დივიზია. საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებით გასულ წელში საკუთარი ბანაკის აშენებამ ხელი შეუწყო დივიზიის ბრძოლის უნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ამ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა შეკრებათაშორისო მუშაობა. იანვრის და თებერვლის თვეებში მოკლევადიან შვებულებებზე მოსული ცვალებადი წითელარმიელები დიდ აქტივობას იჩენდენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ მუშაობაში. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესს საგრძნობი ცვლილებები შეაქვს ტერიტორიალური მშენებლობის სისტემაში. კოლექტივები სოფლად უნდა გახდნენ შეკრებათაშორისო მუშაობის დასაყრდენ წერტილებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტერიტორიალური ნაწილების საბრძოლო მომზადების განმტკიცებას. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეკრებათაშორისო მუშაობის გამოცდილებათა და მიღწევების დაყირვებით შესწავლას.

ერთ-ერთ მთავარ საშუალებას საბრძოლო მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის მომხსენებელი სთვლის სოციალისტურ შეჯიბრებებს და დამკვრელობას, რაც გამოყენებული უნდა იქნეს სამხედრო საქმის ყველა დარგებში, უპირველეს ყოვლისა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტულ ამოცანებს, როგორიცაა სასროლო საქმე, დისციპლინის ამაღლება, იარაღის მოვლა და სხვ. ამ საქმეში ინიციატივა უნდა გამოიჩინონ კლუბებმა, ლენ-კუთხეებმა, კედლის გაზეთებმა და სხვ. ამის მთავარ მიზეზად მომხსენებელი სთვლის უფროსთა სუსტ მონაწილეობას და სუსტ ხელმძღვანელობას სამკლუბო მუშაობაში და სამხკორთა მოძრაობაზე.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სამთვიანი შეკრებები წელს დაიწყება მაისის პირველ რიცხვებიდან იმ მიზნით, რომ საერთო ტერშეკრება დაწყებულ იქნეს 15 აგვისტოდან და მთელი საზაფხულო სწავლება დამთავრებულ იქნეს სექტემბრის ოც რიცხვში. პარტიულ ორგანიზაციებმა დივიზიაში უნდა გაამახვილონ მთელი ყურადღება საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებისაკენ. ამავე დროს თვითეულ კომკავშირელს უნდა მოეთხოვოს კომკავშირის წესდების იმ მუხლის შესრულება, სადაც არის ნათქვამი კომკავშირელების სამხედრო მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ.

28 მარტს, საღამოს სხდომაზე კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. იპოს საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუციები ყველა მოხსენებების გარშემო. ამის შემდეგ არჩეულ იქნა დივიზიის პარტიული კომისია და დელეგატები არმიის პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად. კონფერენციამ აირჩია პარტკომისია 12 კაცის შემადგენლობით. პარტკომისიის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ წევრებად: ამხ. ტიგიშვილი, ოჩიგავა, ლეჟავა, აბალაშვილი, კაკაბაძე, უბილავა, ხინთიბიძე, მაისაშვილი და ზარქუა. კანდიდატებად: სიხარულიძე, მარგაქველიძე და სიმონგულოვი. პარტკომისიის პასუხისმგებელ მდივნად კონფერენციამ აირჩია ძველი მუშა ამხ. ტიგიშვილი. არმიის პარტკონფერენციაზე დელეგატების არჩევის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

საბჭოს მუშაობის გასაცხოველებლად აუცილებელია ამომრჩეველთა ყოველდღიური კონტროლი დეპუტატების საქმიანობაზე

ამომრჩევლები ამოწმებენ საბჭოს მუშაობას

თბილისის საბჭო დღითი-დღე აფართოებს და აუმჯობესებს თავის საქმიანობას. მარტო ის ფაქტი, რომ საბჭოთა მიმდინარე წლის ბიუჯეტი 30 ნახევარ მილიონ მანეთს უდრის, ცხადყოფს, თუ რამდენად სწრაფად იზრდება თბილისის საბჭოს როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილი. ამ თანხის დიდი უმრავლესობა ხმარდება ადგილობრივი მრეწველობის გაძლიერებას, მომავალი თაობის აღზრდას, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, საბინაო მშენებლობას და ქალაქის კეთილმოწყობას.

მიმდინარე საანგარიშო კამპანიაში თბილისის საბჭო ამომრჩეველთა წინაშე წარსდგა საგრძნობი მიღწევებით.

თბილისის საბჭო ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე საკმაოდ დიდ ოლქს, რომელიც საოლქო სისტემის გატარების შემდეგ აერთიანებს ყოფ. თბილისის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრებს. თბილისის საბჭოს ხელმძღვანელობით ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სოფლად, ერთის მხრივ, საკოლმეურნეო მშენებლობის და საგაზაფხულო თესვის გეგმის განსახორციელებლად, ხოლო მეორეს მხრივ, სწარმოებს ენერგიული მუშაობა საგზაო და სასკოლო მშენებლობაზე, მშრომელი გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად, ჯანმრთელობის დაცვის საქმის გასაფართოებლად და სხვ.

თბილისის საბჭოს საქმიანობით ძალზე დაინტერესებულია ამომრჩეველთა ფართო მასა და სწორედ ამიტომ არის, რომ საანგარიშო კრებებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველგან ბლომად ესწრებიან როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე მათი ოჯახის წევრებიც.

საანგარიშო მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული მუშა - მოსამსახურენი აღნიშნავენ საგრძნობ მიღწევებს საბჭოს მუშაობაში, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მიუთითებენ მთელ რიგ ნაკლოვანებებზე და მოითხოვენ მათ გამოსწორებას. ამომრჩეველთა მთავარი მოთხოვნილებებია: საბინაო მშენებლობის გაძლიერება და ამ მშენებლობის გაიაფება, მეტი ყურადღების მიპყრობა ქალაქის გარეუბნებზე, მტკიცე კონტროლის დაწესება ვაჭრობის მოწესრიგების საქმეზე და, კერძოდ, საზოგადოებრივი კვების საკითხის მოგვარებაზე, უფრო ენერგიული ხელმძღვანელობის გაწევა საკოლმეურნეო მშენებლობაზე და მეტი გეგმიანობის და მტკიცე კონტროლის დაწესება როგორც ახალ მშენებლობაზე, ისე შეკეთების საქმეზე.

ყველა ეს მოთხოვნილებანი წითელი ზოლივით არის გატარებული თითქმის ყველა საანგარიშო კრებების მიერ მიღებულ რეზოლუციებში.

თავისთავად ცხადია, თბილისის საბჭო გაითვალისწინებს ამომრჩეველთა საქმიან მითითებებს და მიიღებს ყოველგვარ ზომებს მომავალ მუშაობაში ყველა იმ დეფექტების გამოსასწორებლად, რომელზედაც მიუთითეს მას ამომრჩევლებმა.

მაგრამ აქვე უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. თბილისის საბჭოს საქმიანობის შემდგომი გაჯანსაღება და ზემოდაღნიშნულ დავალებათა შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ საბჭოს დეპუტატები გულმოდგინეთ იმუშავებენ და ამომრჩეველთა ფართო მასსა აქტიურ დახმარებას აღმოუჩენს საბჭოს. მართალია, დეპუტატებისა და ამომრჩევლების აქტივობა წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაძლიერდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საანგარიშო კამპანიის დროს მაინც საჭირო გახდა უმოქმედობის გამო დეპუტატთა საგრძნობი რაოდენობის უკან გამოწვევა და მათ მაგიერ ახალი დეპუტატების არჩევა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ზოგიერთ დეპუტატს ვერ შეუგნია თავისი მოვალეობის მნიშვნელობა და გულგრილად ეპყრობა მის შესრულებას.

ამიერიდან აუცილებლად საჭიროა გაცხოველდეს ამომრჩევლების კონტროლი მათ მიერ არჩეულ დეპუტატებზე და სისტემატიურად იქნას შემოწმებული თუ რას აკეთებს საბჭოში ესა თუ ის დეპუტატი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიამ დიდათ შეუწყო ხელი როგორც დეპუტატების, ისე ამომრჩეველთა ფართე მასების აქტივობის გაძლიერებას და ეს ფაქტი აუცილებლად დიდ გავლენას მოახდენს საბჭოს შემდგომ მუშაობის გაჯანსაღებაზე.

—ლი.

გავაფართოვოთ საბავშო ბაღების ქსელი

(თბ. მუშკოოპის 1-ლი ადგილკომი)

მუშკოოპის პირველ ადგილკომში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენება.

საბავშო ბაღების სიმცირის გამო მუშების შვილები ბაღების გარეშე არიან დარჩენილი. მიღებულ უნდა იქნას ზომები საბავშო ბაღების და ბავშთა ბაგების ქსელის გასაფართოებლად.

ქალაქის ქუჩებში ადგილი აქვს ანტისანიტარულ მდგომარეობას. უნდა დაისაჯონ ყველა ისინი, რომლებიც არ ცდილობენ სისუფთავის დაცვას, ქუჩაში ყრიან ნაგავს და სხვა სიბინძურეს.

ამ ბოლო დროს თბილისის ქუჩებში გახშირდა უპატრონო ბავშვები. მათ უნდა მიექცეს ყურადღება და მოთავსებული იქნან სათანადო თავშესაფარებში.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი კვების საქმის მოწესრიგებას, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა რაიონებში, სადაც კერძო ვაჭრებს ჯერ კიდევ საკმაოდ აქვთ გადგმული ფესვები.

მილიციელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. მილიციელთა შორის უნდა გაძლიერდეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა.

თბილისის საბჭომ უნდა გააძლიეროს თავისი მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. მეტ მუშათა ბრიგადების გაგზავნას, მეტ მატერიალურ ხელმძღვანელობას მოითხოვს სოფელი თბილისის საბჭოსაგან.

მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეებმა დაავალეს თბილისის საბჭოს მომავალ მუშაობაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ზემოდ აღნიშნულ საკითხების მოგვარებას და კერძოდ საზოგადოებრივი კვების საქმის გაუმჯობესებას.

—

მეტი ყურადღება განაპირა უბნებს

(პ.-ტ. პირველი სტამბა)

პ.-ტ. პირველი სტამბის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ დიასახლისებთან ერთად მოისმინა ამხ. ხერხეულიძის საანგარიშო მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ თბილისის განაპირა უბნებში და განსაკუთრებით კი ლენინის რაიონში სამილიციო საგუშაგოების მეტად მცირე რიცხვია, რის გამო ამ რაიონში ხშირია ხულიგნობის შემთხვევები. საბჭომ ზომები უნდა მიიღოს საგუშაგოთა რიცხვის გასადიდებლად ქალაქის განაპირა უბნებში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლებლებში მოზარდი თაობის წესიერად აღზრდას. არის მაგალითები, როცა სკოლის კედლებში ადგილი აქვს რომანიულ ნიადაგზე მთელ რიგ სისაძაგლეებს მოწაფეთა შორის. ასეთ მდგომარეობას კი მასწავლებლები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

დაჩქარებული უნდა იქნას ყველგან საბჭოთა აპარატის გაწმენდა, რომ ჩვენი აპარატიდან დროზე განიდევნონ ისეთი ელემენტები, რომელთაც სრულიად არ აინტერესებთ სოციალისტური მშენებლობა და თავიანთი მავნე მოქმედებით ძირს უთხრიან მუშათა საქმეს. განაპირა უბნებში სახლები ინგრევა და ამაზე ზომებს არავინ ღებულობს.

კამათის დამთავრების შემდეგ ამომრჩეველთა საერთო კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და შემდეგისათვის მიუთითა მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

ქუჩებში მოძრაობა უნდა მოწესრიგდეს

(ავტო-სახელოსნო)

ამხ. სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნოს მუშები თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენების ირგვლივ აღნიშნავენ: თბილისში მეტის-მეტად უწესრიგოდ მოძრაობს ტრამვაი. ტრამვაის ცდაში მუშებს ხშირად უხდებათ სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადება; მარშრუტი № 15 მოძრაობს არა თავის დროზე. თბილისის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ტრამვაის მოძრაობის საკითხს.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რის წინააღმდეგაც უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები. მუშათა საექიმო დახმარების საქმე უნდა გაუმჯობესდეს.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლები ბევრგან ცუდ მდგომარეობაშია. სახლები ინგრევა და მათ შეკეთებაზე კი არავინ ზრუნავს. ელექტრო-ენერგიით სარგებლობაზე მაღალი ფასებია დაწესებული, რის გამო მუშებს უჭირთ ელექტრო-ენერგიით სარგებლობა.

მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის განაპირა რაიონებში მცხოვრებთა წყლით, სინათლით, ტრამვაით და სხვ. საჭიროებათა უზრუნველყოფას.

ავტო-სახელოსნოს მუშებმა თბილისის საბჭოს საქმიანობა ჩასთვალეს დამაკმაყოფილებლად და შემდეგისათვის დაავალეს უფრო მეტის ენერგიით მუშაობა.

საზოგადოებრივი კვების დათვალიერება სუსტად მიმდინარეობს

სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაცია, კოლმეურნეობათა ცენტრი, პრესა სუსტად მონაწილეობენ დათვალიერებაში.—მუშკოოპის დაუდევრობით დაიხურა რამდენიმე საზოგადოებრივი სამზარეულო.—ფაბრიკა სამზარეულოს ასაგები ადგილი ჯერ კიდევ არ არის არჩეული.—საზ. კვების მდგომარეობა რკინის გზებზე

დათვალიერების შტაბის სხდომაზე

გუშინ, საქ. პროფსაბჭოში შესდგა საზოგადოებრივი კვების დათვალიერების ჩამტარებელი შტაბის სხდომა, სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ საზოგადოებრივი კვების დათვალიერების ორგანიზაციული პერიოდი დამთავრებულია. უკვე გამოყოფილია შემმოწმებელი კომისიები, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ დათვალიერება მაინც სუსტად მიმდინარეობს, კამპანია განსაკუთრებით სუსტად მიდის პროვინციაში. კოლმეურნეობათა კავშირები, სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაცია და სხვ. ორგანიზაციები ძალზე სუსტ მონაწილეობას იღებენ დათვალიერებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის ცალკე სასადილოებზე მიმაგრებულნი არიან დათვალიერების ჩასატარებლად გაზეთების რედაქციები, პრესა არ ასრულებს უშუალო ორგანიზატორის როლს დათვალიერებაში, არამედ კმაყოფილდება დათვალიერების შესახებ მასალების კანტი-კუნტად მოთავსებით. არა მარტო ფართე მასები, არამედ ცალკე ორგანიზაციების მუშაკებსაც კი არ აქვთ გარკვეული დათვალიერების მიზან-ამოცანები. ეს სჩანს იქიდანაც, რომ ის ახალი სასადილოები, რომლებიც ამჟამად არსდება, არაფრით არ განსხვავდებიან ძველი სასადილოებისაგან. მაგალითად, საზოგადოებრივი კვების დათვალიერების შტაბის ერთ-ერთი წევრი თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რომ გორში გახსნილ ახალ კაფე-სასადილოში არ ეწარმოებიათ ღვინით ვაჭრობა, მაგრამ კოოპერატივმა (რომელმაც გახსნა ეს სასადილო), მაინც თავისი გაიტანა და ღვინის გაყიდვის საკითხი დადებითად გადაჭრა.

განსაკუთრებით ცუდადაა დაყენებული საზოგადოებრივი კვების საკითხი ცალკე სას.-სამ. კომუნებში და საერთოდ კოლექტივიზაციის რაიონებში. ის წარმოებები, რომლებსაც შეფობა აქვთ აღებული კომუნებზე, პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ იქ საზოგადოებრივი კვების მოსაწყობად. კოლმეურნეობათა ცენტრიც თავს არ იტკივებს ამ საკითხებით, ამიტომ იყო, რომ სახალხო კვების კავშირს მოუხდა თავის ხარჯზე გაეგზავნა სამთავისის კომუნაში ერთი მზარეული.

საბინაო კავშირმა მუშკოოპთან ერთად გახსნა რამოდენიმე საზოგადოებრივი სამზარეულო, მაგრამ მუშკოოპმა არ იზრუნა ამ სამზარეულოებისათვის პროდუქტების გეგმაზად მიწოდებაზე, ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ სამზარეულოების ნაწილი დაიხურა.

თბილისში ფაბრიკა-სამზარეულოს აშენება 8 მარტიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დღემდე საბოლოოდ არაა გამორკვეული ადგილი სადაც იგი უნდა აშენდეს. ჯერ კიდევ თებერვალში გამოყოფილმა კომისიამ სპეციალისტების, აღმასკომის, მუშგლეხინის, საკავშირო ამხ-ბა „სახკვებას" და პროფკავშირების წარმომადგენელთა შემადგენლობით, ფაბრიკა-სამზარეულოს აშენება მიზანშეწონილად სცნო მადათოვის კუნძულზე. კუნძულის გეოლოგიური გამოკვლევისათვის გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც აგრეთვე დაადასტურა ფაბრიკა-სამზარეულოს მადათოვის კუნძულზე აშენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა.

მიუხედავად ამისა, ცალკე დაწესებულებების წარმომადგენლები კიდევ ლაპარაკობენ ფაბრიკა-სამზარეულოს ყოფ. ბაღ „ორტო"-ში აგების სასარგებლოდ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელიც ესწრებოდა გუშინდელ თათბირს, გაილაშქრა ამ ვარიანტის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ყოფ. „ორტო"-ში ფაბრიკა-სამზარეულოს აშენება არავითარ შემთხვევაში არ გამართლდება.

ასე თუ ისე ფაბრიკა-სამზარეულოს ადგილი დღემდე გამონახული არ არის და მის ასაშენებლად დღემდე პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა.

საზოგადოებრივ კვების დათვალიერების შტაბმა გამოიტანა დადგენილება: შედგენილ იქნას 5 შემმოწმებელი ჯგუფი, რომელიც გამოიკვლევს ამხ-ბა „სახკვება"-ს რწმუნებულის, ცეკავშირის, მუშკოოპის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის და ს. მ. უ. ს.-ის მუშაობას საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის დარგში. ჯგუფებმა მუშაობა უნდა დაამთავრონ ერთი კვირის განმავლობაში და თავისი დასკვნა წარუდგინონ შტაბს.

შედგენილი იქნება ბრიგადა, რომელიც გადაათვალიერებს საზოგადოებრივი კვების ხუთ წლიან გეგმას და შეიტანს მასში საჭირო ცვლილებებს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებთან შეფარდებით. შედგენილი იქნება აგრეთვე კომისია ექიმთაგან, რომელიც შეიმუშავებს ღონისძიებებს საზოგადოებრივი კვების მეცნიერულ საფუძვლებზე დაყენებისათვის.

გაზეთების რედაქციების წინაშე დაისვა საკითხი საზოგადოებრივი კვების დათვალიერების გაშუქების და 5 აპრილამდე ყველა სასადილოებთან კედლის გაზეთების გამოშვების შესახებ.

საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის წინაშე დასმულია საკითხი, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ზომები კოლმეურნეობათა წევრებს შორის საზოგადოებრივი კვების დათვალიერების ამოცანების გასაშუქებლად და ამ საქმის ადგილებზე მოგვარებისათვის.

თვალყური უნდა ედევნოს აგრეთვე „სახ. კვება"-ს სასადილოების მუშკოოპზე თავის დროზე გადაცემას.

საზოგადოებრივი კვება რკინისგზებზე

ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამიერ-კავკ. სატრ. სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მოხსენება ტრანსპორტზე საზოგადოებრივი კვების საქმის მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე გამოირკვა, რომ საზოგადოებრივი კვების საქმე ამიერ-კავკ. რკინის გზაზე მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. გზის გამგეობას განუწყვეტლივ მოსდის საჩივრები სადგურებზე ბუფეტების უქონლობის შესახებ. ეს გასაგებია კიდეც იმიტომ, რომ 79 სადგურიდან, სადაც საჭიროა ბუფეტების არსებობა სატრანს. კოოპერაციას გახსნილი აქვს მხოლოდ—24. რასაკვირველია ეს ვერ აკმაყოფილებს არამც თუ მგზავრების, არამედ რკინისგზელების მოთხოვნილებებს, თანაც აღსანიშნავია, რომ ეს 24 ბუფეტი გახსნილია სრულიად უგეგმოდ და მიზანშეუწონლად.

ბუფეტები გახსნილია ისეთ სადგურებზე, სადაც მაინცა და მაინც აუცილებლობას არ წარმოადგენენ და შესაძლებელი იყო მათი პირველ ხანებში დატოვება (ახალ-სენაკი და სხვ.). ხოლო ზოგიერთი მსხვილი საკვანძო სადგურები, სადაც სწარმოებს მატარებლების ბრიგადების ცვლა (უჯარა, დიღიხი) — დატოვებულია უბუფეტოდ და გზის აგენტებს უხდებათ ან შიმშილობა, ან და კერძო ჩარჩების ხელში ჩაცვენა.

მგზავრები უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ თუ წინასწარ არ მოიმარაგეს სამგზავრო პროდუქტები, ბუფეტების უქონლობის გამო გზაში შიმშილი მოელით.

ისეთ სადგურებშიაც კი, სადაც ამიერ-კავკ. სატრ. კოოპ. ბუფეტები არსებობს, მგზავრს საშუალება არ აქვს ბუფეტით ისარგებლოს, რადგან მატარებლების მისვლისას ბუფეტი სავსეა ადგილობრივი მოქალაქეებით, რომელთაც დაკავებული აქვთ ყველა ადგილები, ანდა როგორც სამიკიტნოში დგანან დახლთან და ქეიფობენ.

ლოთობა სატრ. კოოპერაციის ბუფეტებში ნებადართულია. თვით კოოპერაციის გამგეობის წარმომადგენლის განცხადებით, თვითეულ კაცზე დაწესებულია ნორმით ერთი ლიტრი ღვინო, რაც საესებით ხელს უწყობს ლოთობას. რომ მაგარ სასმელებს სატრ. კოოპერაციის ბუფეტების ბრუნვაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ეს იქედანაც სჩანს, რომ 24 ბუფეტის შემოსავლის 80 პროცენტს შეადგენს შემოსავალი მაგარი სასმელებით ვაჭრობიდან.

ბუფეტებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. დარბაზები მონაგვიანებულია, სამზარეულოებს და ჭურჭლებს ჭუჭყიანად ინახავენ და თვით საჭმელებიც ვერ არის კარგი ღირსების. ფასები საუზმეზე არაფრით არ განსხვავდება კერძო სამიკიტნოების ფასებიდან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სატრ. კოოპერაცია ბუფეტების გახსნის დროს სრულიად ივიწყებს იმ გარემოებას, რომ იგი უნდა ემსახუროს მგზავრებსაც. თითქოს ითვალისწინებს რკინისგზელებისათვის სამსახურის გაწევას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ აღწევს მიზანს და რკინისგზელები დაუკმაყოფილებელი რჩება.

ფარდულებიც სადგურებზე გამოუსადეგარი რჩება მგზავრებისათვის, რადგან ისინი მხოლოდ სატრ. კოოპერაციის წევრებს ემსახურებიან.

ასეთ მდგომარეობას სატრ. კოოპერაცია ხსნის იმით, რომ ბუფეტებს დიდი ზედნადები ხარჯები აწევებათ და მათი შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს. ამასთანავე ბუფეტების ცუდ მდგომარეობას ხსნის იმით, რომ გზის გამგეობა არ აწვდის მათ ბუფეტებისათვის საჭირო ინვენტარს.

გზის გამგეობამ საზოგადოებრივი კვების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა ამ საქმის სრულიად არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და წინადადება მისცა ამიერკავკ. სატრ. კოოპერაციის გამგეობას, გააფართოვოს ბუფეტების ქსელი საერთოდ და გახსნას ახალები პირველ რიგში ისეთ სადგურებში, სადაც ამის ყველაზე უფრო მეტი საჭიროებაა.

ამასთანავე მოწესრიგებული უნდა იქნას ბუფეტებში მგზავრებისათვის სამსახურის გაწევის საკითხი, რომლებიც პირველ რიგში უნდა კმაყოფილდებოდნენ.

ამასთან ერთად გზის გამგეობამ საჭიროდ სცნო სათანადო ორგანოების წინაშე საკითხის აღძვრა იმის შესახებ, რომ ის ბუფეტები, რომელთა აღება არ შეუძლია სატრ. კოოპერაციას გადაეცეს არტელებს, კოლექტივებს და სხვა სახის გაერთიანებებს.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა ფარდულები განტვირთულ იქნან წიგნაკებზე საქონლის გაცემისაგან იმ მიზნით, რომ მათ უკეთ შეძლოთ მგზავრებისათვის სამსახურის გაწევა.

უსუფთაობისა და სიძვირის ბრჭყალებში

(წერილი სენაკიდან)

საზოგადო და კერძოთ მუშა-მოსამსახურეთა კვებას საბჭოთა ხელისუფლების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მხრივ, რომ წინანდელი ცუდი კვების ნაცვლად შევქმნათ კარგი კვების პირობები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ კერძოთ, ქალაქ სენაკში?

აქ საქმე გვაქვს თითქმის აუტანელ მდგომარეობასთან: მეტად ცუდია და არაფრად ვარგა სასადილოების მდგომარეობა.

მუშა-მოსამსახურეები იღებენ ცუდ საკვებს, რასაც დღემდისაც ბოლო ვერ მოელო. აქ სამი სასადილოა: ქალაქის გლეხკომის, წითელი სასადილო და არტელი „შრომა".

რას ვხედავთ ქალაქის გლეხკომის სასადილოში?

კერძი ძვირია. კერძი არ არის ზომიერი, მოაქვთ იმაზე მცირე, რაც საჭიროა. არ არის საჭმლის სხვადასხვაობა ყოველდღე. სრულიად არ სჩანს მწვანეული. მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასი არ არის განსაზღვრული, არ არის აგრეთვე მოწესრიგებული ნორმალური მუშაობის საათები: მუშაობენ განუწყვეტლივ დილის 7 საათიდან ღამის 11—12 საათამდე.

საღამოობით მუშა-მოსამსახურეები ვერ შოულობენ ამ სასადილოში ვახშამს.

წითელი ჯვრის სასადილოში კერძი ძვირია. მუშა-მოსამსახურის ხელფასი ვერ აუდის თვიურ გასავალს თუ ის აქ სადილობს სისტემატიურად. სისუფთავე ვერ არის დაცული ისე, როგორც საჭიროა. შენობა პატარაა და ოთახები მეტად ვიწრო.

მწვანეულს ვერ ნახავ, თუ აღმოჩნდა ისიც უსუფთაო იქნება.

არტელ „შრომა"-ს სასადილოში საქმე უკეთ სდგას, ვინემ სხვაგან, თუმცა აქაც ადგილი აქვს: ნაწილობრივ, უსუფთაობას, ხშირად კვამლი ახრჩობს მოსადილეს. არ არის სხვადასხვაობა ყოველდღე საჭმელებში, შემწვარი ფრინველი და სხვა დაცული არაა ჰიგიენურად.

საერთოდ საზოგადოებრივი კვების საქმე მოუწესრიგებელია და ის მეტ ყურადღებას საჭიროებს.

გ. უჩანეიშვილი.

ქრონიკა

უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაცია

განათლების სახ. კომისარიატმა პროფგანათლების მთავარ მმართველობას დაავალა შეიმუშაოს მომავალ სასწავლო წლისათვის უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციის გეგმა.

განზრახულია მომავალ სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლების თვითეული ფაკულტეტი გამოიყოს ცალკე ინსტიტუტათ.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა

მომავალ სასწავლო წლიდან ყველა უმაღლეს სასწავლებლებში და უმ. ტეხნიკუმებში შემოღებული იქნება განუწყვეტელი საწარმოო კვირა.

სიძველეთა დაცვის კომიტეტი

განათლების კომისარიატის დადგენილებით სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, სახ. მუზეუმის დირექტორის — კაკაბაძის თავმჯდომარეობით დაარსდა ცალკე კომისია.

შაბათობა რომის პაპის საპასუხოდ

პროფსაბჭოს თანამშრომლებმა დაადგინეს რომის პაპის საპასუხოდ მოაწყონ შაბათობა და ამ მიზნით გამოიწვიეს თბ. აღმასკომის, სახ. ბანკის და აგურის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. შაბათობა მოეწყობა დღეს, სამსახურის დამთავრების შემდეგ. შაბათობაში მონაწილენი იმუშავებენ დანგრეულ ეკლესიების ეზოების გასაწმენდათ.

საავტომობილო მიმოსვლის გაფართოება

„ზაკავტოპრომტორგი" წელს საქართველოში საავტომობილო მიმოსვლის გასაძლიერებლად, ადიდებს სამგზავრო და საბარგო ავტომობილების რიცხვს. შარშან მთელ საქართველოში მუშაობდა 241 ავტომობილი, წელს იმუშავებს—264.

ქუჩებში მოძრაობის წესრიგის დასაცავად

შემჩნეულია, რომ ქუჩებში მოძრაობის წესრიგის დასაცავად სათანადო ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილებები არ სრულდება, რის გამო კვლავ ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა ადმინისტრატიულ განყოფილებას მიიღოს ენერგიული ზომები ქუჩებში წესიერი მოძრაობის დაცვისათვის.

თბ. აღმასკომში

◆ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში ხელმძღვანელო სამუშაოებზე გასაგზავნთა მოსამზადებლად, თბ. აღმასკომი აწყობს სპეციალურ კურსებს, რისთვისაც გადაიდო — 6.000 მ.

◆ **მედპერსონალის აღწერა.** ახლო ხანში ჯანმრთელობის განყოფილება თბილისის ოლქში ჩაატარებს მედპერსონალის აღწერას.

◆ ორთაჭალის საბავშო ბაღის საჭიროებისათვის განათლების განყოფილებას გადაეცა 6.000 მ.

განათლების კომისარიატში

◆ **სახ. სამეცნიერო საბჭო.** განათლების კომისარიატთან ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით დაარსდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო.

◆ განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრებად დაინიშნენ ამხ. პ. აფხაძე, გოგუაძე და ორაგველიძე.

* * *

ს.პ.კ. თვითმოქმედ მუშათა თეატრის წარმოდგენა

დღეს, 30 მარტს, ტრამვაელ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 182) განხილული იქნება ს.პ.კ.ს. თვითმოქმედ მუშათა თეატრის წარმოდგენა „შვიდი დღე", (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება) 6 სურათად. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ავლაბრის მუშათა თეატრი

ავლაბრის მუშათა თეატრის დასამთავრებლად, თბილისის აღმასკომმა დამატებით გადასდო 100.000 მანეთი.

* * *

◆ **„საკანი № 79".** ორშაბათიდან თბილისის კინოებში დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის „საკანი № 79"-ის ჩვენება.

ახალგაზრდობის შორის მომუშავეთა

სრ. საქართველოს რესპუბლიკანური კონფერენცია

გაიხსნება 1 აპრილს საღამოს 6 საათზე მუშათა სახახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პროსპ., № 17).

კონფერენციის ყველა დელეგატებისა და თბილისის ახალგაზრდობის პროფაქტივის დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

რა გაკეთდა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

„შრომის სახ. კომისარიატმა, სათანადო ორგანიზაციებთან გასულ წელში დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ესა თუ ის ორგანიზაცია ვალდებულია თავის განკარგულებაში არსებულ წარმოებებში გააუმჯობესონ მუშათა შრომის პირობები და ამ მიზნით გაიღონ საჭირო თანხები.

იმის შესამოწმებლად, თუ როგორ სრულდება ეს ხელშეკრულებები, შრომის დაცვის განყოფილებამ ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა.

აღმოჩნდა, რომ საერთოდ, წინა წელთან შედარებით, მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებას სათანადო ყურადღება ექცევა, მაგრამ ზოგიერთ ადმინისტრაციებს მაინც აქვს ძველი ამ საკითხისადმი გულგრილობა.

ზოგ წარმოებებში, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღონისძიებები არაა გატარებული, არ გაუხსნიათ სასადილო, არ მოუწყვიათ ვენტილიაცია. მუშები თავის დროზე ვერ ღებულობენ სპეცტანსაცმელს, ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით არ მოუხდენიათ შენობების სათანადო შეკეთება და სხ.

ყველა ამ ღონისძიებების გასატარებლად უნდა დაეხარჯათ: პოლიგრაფტრესტს — 15.000 მანეთი, დახარჯვა—7,285 მან.; თამბაქოს ტრესტს—95.000 მანეთი, გაიღო—85.000 მან.; ტყავტრესტს—21.000 მ., დახარჯვა — 8.700 მანეთი; საფეიქრო ტრესტმა 13.000 მ. ნაცვლად დახარჯა—7.500 მანეთი; სამთო-ქიმიურ ტრესტმა ხელშეკრულება შეასრულა ვალდებულებით, მან 46.000 მანეთის მაგიერ დახარჯა—47.000 მანეთი; ლითონტრესტმა გაიღო 13.200 მანეთი; უნდა დაეხარჯა — 10.000 მანეთი; სატყეო ტრესტმა გაიღო 72000 მანეთი, უნდა დაეხარჯა—117.000 მანეთი, მარგანეცის ტრესტმა—80.000 მანეთის, ნაცვლად შრომის პირობების საქმის გაუმჯობესებას მოახმარა—96.000 მანეთი; ყველა ეს წარმოებები ეკუთვნის სახ. მეურნ. უმ. საბჭოს. ამრიგად ჩამოთვლილ წარმოებებში მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა დახარჯულიყო 479.880 მანეთი, დაიხარჯა—378.342 მანეთი, ანუ ხელშეკრულება საშუალოდ შესრულებული იქნა 85 პროც.

შრომის კომისარიატმა წარმოებების ის ადმინისტრაციები, რომლებმაც არ შეასრულეს ხელშეკრულებები, გადასცა სასამართლოს. ხელშეკრულების დამრღვევი ადმინისტრატორების გასამართლება ხდება საჩვენებელ პროცესებზე და მუშათა აქტიური მონაწილეობით.

ასეთი გამოკვლევა სწარმოებს სხვა ორგანიზაციების წარმოებებშიაც.

ახლო ხანში დაიწყება ახალი ხელშეკრულებების დადების კამპანია.

უზრუნველვყოთ მოწაფეთა ჯანმრთელობის დაცვა

გავაუმჯობესოთ ფიზკულტურის წრეების მუშაობა

განათლების კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. გიორგაძის მოხსენება მოწაფეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ამასთან დაკავშირებით სკოლებში ფიზკულტურის საქმის გაძლიერების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მოწაფეთა საგრძნობი რაოდენობის ჯანმრთელობა, როგორც ეს გამოირკვა რკ. გზის სკოლების მოწაფეთა ჯანმრთელობის შემოწმების დროს, უნუგეშო მდგომარეობაშია.

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენს სკოლებში დღემდე ფიზკულტურის საქმე მოუწესრიგებელია და მას არ ექცევა სათანადო ყურადღება. თუ რამდენად დამაფიქრებელია მოწაფეთა ჯანმრთელობა, ეს იქიდან სჩანს, რომ რკინის გზის სკოლების 4.000 მოწაფიდან სრულებით ჯანსაღი აღმოჩნდა მხოლოდ 2,1 პროც., საშუალო ჯანმრთელობის 15 პროც., ხოლო დანარჩენები საჭიროებენ სერიოზულ მკურნალობას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, განათლების კომისარიატმა დაადგინა, მომავალ სასწავლო წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლებში სანიტარულ პირობების დაცვას და ფიზკულტურის საქმეს.

ამ მიზნით მიმდინარე სასწავლო წელში ფიზკულტურის კადრების შესაქმნელად მოეწყობა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

1 და მე-2 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა და სკოლის ჰასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა მოსამზადებელ კურსების პროგრამებში შეტანილი იქნება ფიზკულტურის აღზრდის საკითხები. 10-წლედების მე-8, მე-9 და მე-10 ჯგუფებში შემოღებული იქნება აგრეთვე ფიზკულტურის აღზრდის გაკვეთილები.

განათლების განყოფილებებს ევალებათ მომავალ სასწავლო წლიდან ფიზკულტურის საქმის გასაფართოებლად ბიუჯეტში გაითვალისწინონ საჭირო თანხები და შემოიღონ ფიზკულტურის ინსტრუქტორთა თანამდებობა.

თბილისში, ხაშურში და ქუთაისში მოეწყობა ფიზკულტურის სანიმუშო დარბაზები და მოედნები.

ტეხნიკუმების სასწავლო გეგმებში შეტანილი იქნება ფიზკულტურის გაკვეთილების მეთოდიკა. გარდა ამისა თბილისსა და ქუთაისში გაიხსნება ფიზკულტურის მასწავლებელთა და პიონერ-მოძრაობის ხელმძღვანელთა სპეციალური ტეხნიკუმები. პედაგოგიური და საექიმო ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნება ფიზკულტურის სპეციალობა.

სოფლად ფიზკულტურის დარგში მომუშავეთა მოსამზადებლად გაიხსნება კურსები.

თბილისის, ქუთაისის, გორის და კახეთის ოლქებში მსხვილ კოლექტივებთან დაარსდება ფიზკულტურის წრეები. ამრიგად ფიზკულტურის საქმეს მომავალ სასწავლო წლიდან მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

შრომის გამაუმჯობესებელ ხელშეკრულების დარღვევისათვის

არიან ჩვენში ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომელთაც შრომის პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ზედმეტად მიაჩნიათ, თითქოს შრომის პირობების გაუმჯობესება არ იყოს აუცილებელი პირობა თვით შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების წინ წაწევისათვის.

შრომის დამცველ ორგანოებს ისინი ანგარიშს უწევენ „იმდენად, რამდენადაც“... დასდებენ მათთან ხელშეკრულებას. ხელშეკრულების დადება, რასაკვირველია, ადვილი საქმეა. ამისათვის საკმარისია ხელისმოწერის ცოდნა. ისინიც მოაწერენ ხელს ხელშეკრულებას, ჩაკეტენ ხელშეკრულების ასლს ყუთში და ამით თავდება საქმე.

აი ამისი ცოცხალი მაგალითი. 1928 წლის შემდეგ, შრომის დაცვის განყოფილებამ საქართველოს სატყეო ტრესტთან რამდენიმე ხელშეკრულება დასდო შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ხელშეკრულებები შეეხებოდნენ მრავალ ათეულ მუშის ინტერესებს.

ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს: ტრესტის მმართველის მოადგილემ **ნიკოლოზ სპირიდონის ძე ბრეგვაძემ**, სატყეო ტრესტის საავეჯო ფაბრიკის დირექტორმა **იოსებ გიორგის ძე ვარამაშვილმა** და ხე-ტყის № 1 სახერხი ქარხნის დირექტორმა **დარჩო ივანეს ძე აბუაშვილმა.**

ხელი, რასაკვირველია, ყველამ ჩინებულად მოაწერა, მაგრამ ხელშეკრულების შესრულებაზე არც ერთს არ უფიქრია.

რა ევალებოდა ხელშეკრულების ძალით ვარამაშვილს? 1929 წლის 1-ლ სექტემბრამდე მისდამი რწმუნებულ ფაბრიკაში უნდა დაედგა დაზგიდან მტვრის გამომწოვი მოწყობილობა, უნდა დაედგა მუდმივი ტიპის ლუმელები, უნდა გაეფართოებია დასასვენებელი ბინა მუშებისათვის, შეეძინა პლაკატები, მოეწყო თვითეული მუშისათვის შკაფები.

რასაკვირველია, დღემდე არც ერთი პირობა შესრულებული არ არის.

აბუაშვილს სახერხ ქარხანაში უნდა ამოეშენებია ფარდულის კედლები, მოეწყო ტრანსპორტი ნახერხის გადასაზიდავად, შეეძინა ტეხნიკური უშიშროების პლაკატები, გაემაგრებია მდინარე მტკვრის ნაპირები და სხვ., რასაკვირველია, არც ერთი არ არის შესრულებული.

ბრეგვაძეს, როგორც ზემდგომ ადმინისტრატორს, ყველა ამ პირობების შესრულებისათვის თვალყური უნდა ედევნებია, მაგრამ თქვენ თვითონ დაინახეთ ამ „მეთვალყურეობის“ შედეგები, ზემოთჩამოთვლილ ფაქტებიდან.

რამდენიმეჯერ იყვნენ ისინი გაფრთხილებული და ბოლოს, რაკი არაფერმა არ გასჭრა, დირექტორები საბრალმდებლო სკამზე მოხვდნენ.

საქმე გაარჩია შრომის სახალხო სასამართლომ ამხ. შავიშვილის თავმჯდომარეობით.

ვარამაშვილს მიესაჯა ასი მანეთის ჯარიმა, აბუაშვილს ორი თვით იძულებითი მუშაობა და ბრეგვაძეს იძულებითი მუშაობა სამი თვით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებანი და ვარამაშვილს და ბრეგვაძეს სასჯელი შეუმცირა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა თითო წელი.

გერ.

ჭ ა დ რ ა კ ი

პოლიტეხნიკური ინსტიტუტი — საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირი.

მუშათა ახალ კლუბში არსებულ საჭადრაკო-საშაშო წრის ოთახში დღეს, საღამოს სრულ 6 საათიდან გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება (25 დაფაზე) პოლიტეხნიკურ ინსტიტუტსა და საბჭ. სავაჭ. მუშაკთა კავშირს შორის. პირველ ხუთ დაფაზე ითამაშებენ: კასპარიანი, ვეიზერი, მირზაევი, ალამალიანი, ფალავანდიშვილი (პოლიტეხნ. ინსტიტუტი) და გოგლიძე, სოროკინი, ლევიტასი, იცკოვიჩი და წერეთელი (საბჭ. სავაჭ. მუშაკები).

ამ.კ. პოლიტ. სამმართველო — ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.

ამხანაგური შეჯიბრება ამიერ-კავკ. პოლიტ. სამმართველოს და ორჯონიკიძის კლუბის გუნდებს შორის (8 დაფაზე) დამთავრდა ორჯონიკიძის კლუბის გამარჯვებით +4 ნახევ.— 3 ნახევ.

თბ. სახ. უნივერსიტეტი

თბ. სახ. უნივერსიტეტთან დაარსდა საჭადრაკო წრე. ხელმძღვანელათ მოწვეულია **მაესტრო ნენაროკოვი.** სისტემატიურად იკითხება ლექციები ჭადრაკის თეორიის და მის განვითარების შესახებ.

პარტიული ქრონიკა

დღეს, საღამოს 5 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება ისტორიული მატერიალიზმის სემინარის მორიგი მეცადინეობა. სემინარის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს ნაშუადღევის 8 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: არუთინოვი (პროფსაბჭო), სოსიანი (თბილისის პოლიტგანი), ელბაქიანი (ს.მ.უ.ს.), ბუაჩიძე (საგეგმო კომისია), ქარსანიძე (კომკავშირის ცეკა), ადამიანი (თბ. საოლქო კომიტეტი), ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო), ბუდილოვი (მუშათა უნივერსიტეტი), თრაგველიძე (პოლიტგანის მთავარი სამმართველო), რუხაძე და მდივანი (ქალაქის რაიკომი).

—:—

დღეს შუადღის 1 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი ბავშვების გაჯანსაღების ღონისძიებების საკითხებზე. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ფრანგულიანი (ჯანსახკომი), უნგიაძე (სოც. დაზღვევის სამმართველო), პისკუნოვი (საკურორტო სამმართველო), ენუქიძე (წითელი ჯვარი), ქუთათელაძე („ცეკავშირი“), გვარამია („სოფლის კავშირი“), სარქისოვი (ბინათკავშირი) და ქართველიშვილი (სარეწკოოპკავშირი).

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

კვირას, 30 მარტს, დილით ქეთო და კოტე

საღამოს მე-2 აბონემენტის მე-10 წარმ. შოთა რუსთაველი

ორშაბათს, 31 მარტს მე-6 აბონემ. მე-13 წარმ. ლენინგრადის სახელმწიფო ბალეტის პრემიერების მ. ტ. სემიონოვას და ვ. ა. სემიონოვის მონაწ. გედების ტბა

მთლიანად გამოუსყიდავი აბონემენტები გაუქმდება.

ნ. 530

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი ნ უ რ ი 31 მარტიდან საკანი 79	პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	მხატვრული ფილმი ა. ზორიჩის ფელეტონის თემაზე კარავაევის დანაშაული 31 მარტიდან შავი აფრა
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	გამოხატულებული მსახიობი ი. ზამიჩკოვსკი სურათში გორისლავი იცინის 31 მარტიდან საკანი 79	სპარტაკი ყოფ. არტისტო	პ რ ე მ ი ე რ ა ლურჯი საყელოები რეჟისორი ბ. შ პ ი ს ი. 31 მარტიდან იგივე სურათი
როზა ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)	მკვდარი მარყუჟი ჟენი იუგოს და ვ. კრაუსის მონაწილეობით 31 მარტიდან საკანი 79	დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	ლუი მეზღვაური ხ. პ. მარ-კნაბეს გასტროლები, როიალთან ხ. ბამოვი. 31 მარტიდან წარჩინებული მოგზაურნი

31 მარტიდან კინო-თეატრებში: აპოლო, სოლეი, ლიუქსემბ.—საკანი № 79.

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.

ორშაბათიდან, 31 მარტიდან

ერთდაიმავე დროს კინო-თეატრებში აპოლო-სოლეი, რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)

საკანი 79

სცენარი შ. ალხაზიშვილის და ს. დოლიძის

რეჟისორი შ. ბერიშვილი

ოპერატორი ა. დიღმელოვი

მთავარ როლებში: სახალხო მსახიობი ნინო ჩხეიძე, თ. ბოლქვაძე, ნ. გაჩეჩილაძე(?), ქ. ყარალაშვილი, ი. თუსარელი, შ. სონღულაშვილი

ნ. 539

სამკურნალო-ტეხნიკური ნედლეულის დამამზადებელი, საექსპორტო და შინაგან ბაზრისათვის მიმწოდებელი

სრულიად საკავშირო სახელ. სააქციო საზოგადოება

„ლეკტეხსირიო“

(საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი სადარგო გაერთიანება)

ამიერ-კავკასიის კანტორა

თბილისი, კოლოუბნის ქუჩა № 8.

განყოფილებანი რესპუბლიკებში:

- აზერბეიჯანი —ქ. ბაქო, ზინოვიევის ქ. № 9/2.
- სომხეთი—ქ. ერევანი, სომხეთის ს. ს. რ. ვაჭრობის სახ. კომის. შენობა.
- აჭარისტანი—ქ. ბათომი (საქონლის სადგური) რკინის გზის სახლი № 7.
- აფხაზეთი—ქ. სოხუმი, მოგილევსკის ქ. № 10.

აწარმოებს მთელ ამიერ-კავკასიაში სამკურნალო და ტეხნიკური ნედლეულის, აგრეთვე ხის თესლის შეგროვებისა და გაშენების ოპერაციებს, აწყობს ცალკე რესპუბლიკებში პლანტაციებს, საცდელ მინდვრებსა და სადგურებს.

იმ პირებს, რომლებიც მუშაობდნენ ან შეუძლიათ იმუშაონ გარეული სამკურნალო და საჭირო ტეხნიკური მცენარეების, აგრეთვე ხის თესლის შეგროვებაზე, ვთხოვთ მიმართონ ამიერ-კავკასიის კანტორას სათანადო წინადადებით. იქვე შეიძლება მიღებულ იქნას ყოველგვარი ცნობები სამკურნალო-ტეხნიკური ნედლეულის შესახებ, ყოველდღე დღის 12-დან 2 საათამდე.

ა.-კ. სახკომსაბჭოს ა. წ. 12 თებერვლის, № 211 დად. და ა.-კ. ს.მ.უ. ს.-ის 14 თებერვლის ბრძანების თანახმად, დაარსდა ფედერაციული მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოო

„ა.-კ. ტყისა და ქაღალდის მრეწველობის ტრესტი“

„ა.-კ. ტყექაღტრესტი“,

რომლის წესდება დამტკიცებულ იქნა ა.-კ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის მიერ ა. წ. 22 მარტს, ოქმი № 27. აღნიშნულ ტრესტში გაერთიანებულია ადერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთოსეთის ტყის მრეწველობის ტრესტები. ა.-კ. ს.მ.უ ს. ა. წ 23 მარტის ბრძანება № 201, § 4 თანახმად „ა.-კ. ტყექაღტრესტი“ იწყებს საქმიანობას 1930 წ. 1-ლ აპრილიდან და ამ დროიდანვე გაუქმებულად ჩაითვლება ყველა დასახელებული ტრესტი, რომელთა უფლება და მოვალეობანი, მთელი აქტივი და პასივით გადადის

„ა.-კ. ტყისა და ქაღალდის მრეწველობის ტრესტზე“,

რაც ცხადდება ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის და პირების საყურადღებოდ. ტრესტის საწესდებო კაპიტალი ა. წ. 1-ლ აპრილისათვის, 1927 წ. 29 ივნისის სახ. სამრ. ტრესტებს შესახებ გამოცემული დებულების 10 მ. შენ. 1 თანახმად უდრის 6.000.000 მან. სამმართველო იმყოფება ქ. თბილისში, მაჩაბლის ქ. № 1.

ა.-კ. ტყექაღტრესტის მმართველის

მოვალ. დრ. აღმასრულებელი იორამაშვილი.

ნ. 546

ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოთ

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1929 წლის 30 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად, (გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 1929 წლის 12 დეკემბრის ნომერში) „საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ს. მ. უ. საბჭოს მიერ 1929 წლის 4 ოქტომბრის თარიღით და მე-21/9 ნომრით გამოცემული ბრძანების შესრულების წესის შესახებ“, რომელიც ემყარება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წლის 27 აგვისტოს დადგენილებას,

„საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის მთელი პროდუქცია

რეალიზაციისათვის გადაეცა

სატყეო და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სახელმწიფო საკავშირო გაერთიანება

„სოიუზლეს“-ს,

რომელმაც თავის მხრივ ა. წ, 10 თებერვალს დადებული შეთანხმების ძალით „საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის პროდუქციის რეალიზაცია საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სავაჭრო პუნქტებით გადასცა საქართველოს სახვაჭრობასთან არსებულ მრეწვმშენმომარაგებას“.

გთხოვთ ხე-ტყის მასალისა და გრეხილი ავეჯეულობის მიწოდების საკითხებზე მიმართოთ საქ. სახვაჭრობის მრეწვმშენმომარაგებას, რომელსაც შესასრულებლად გადაეცა საქ. სატყეო ტრესტის მიერ დადებული და ჯერჯერობით შეუსრულებელი ყველა ხელშეკრულებანი.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი: **იორამაშვილი.**

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოება: **ლაზარევი.**

ნ. 526 3—3

დღეს და ყოველდღე

ხელოვნების მუშაკთა ბაღში, რუსთაველის პროსპექტი (სახელმწიფო ოპერის გვერდით)

სპეციალურად მოწყობილ პავილიონში მოკლე ხნით

გახსნილია სამეცნიერო-საჩვენებელი გამოფენა-პანორამა

1) მოსკოვის კრემატორიუმი ცეცხლით დაკრძალვა
2) „კრასინ“-ის გმირული მოგზაურობა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

შესვლა განუწყვეტლივ დილის 9 ს. ღამის 12 ს. შესასვლელი გადასახადი 25 კაპ. წითელ-არმიელებისა და ბავშვებისათვის—15 კაპეიკი. ექსკურსანტებს შეღავათი ეძლევა. ნ. 527 2—2

მალე!

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული

არმია

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ მოვლენათა ნამდვილი კინო-დოკუმენტი.

მალე!

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორა სთხოვს ხელისმომწერლებს, განსაკუთრებით პროვინციელებს,

რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა რაიმე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აახრონ გაზეთიდან და გამოგვიგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გადმოგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად. 0—5

მიიღება ხელისმოწერა გაზეთ

„კომუნისტ“-ზე აპრილისათვის

1) გაზეთის თავისდროზე მიღებისათვის საჭიროა ხელისმოწერა დასრულდეს მარტის 30-მდე.

2) ვინც 1 აპრილის შემდეგ გამოიწერს გაზეთს, ის წარსული დღეების ნომრებს ვერ მიიღებს.

დააჩქარეთ ხელისმოწერა! 0—5

დიქცია და მხატვრული კითხვა (დეკლამაცია)

თეორ. და პრაქტიკული მეცადინეობა (ჯგუფი)

ნ. შიუკაშვილთან

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 21

1094 6—1

გამოვიდა და დაურიგდა ხელისმომწერლებს

სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

„თანამედროვე ფარმაცია“ № 1

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფარმაციის კათედრის ორთვიური ორგანო

ჟურნალი ღირს: 1 წლით 5 მან.
ნახ. წლით 3 მან.
ცალკე ნომერი 1—50 კ.

წლიურ ხელისმომწერლებს ფული შეუძლიათ გადაიხადონ ორ ვადაში: ნახევარი ხელის მოწერის დროს და დანარჩენი 1 ივნისს მისამართი: თბილისი, პეროვსკაიას ქ. № 22. „თანამედროვე ფარმაციის“ რედაქციას. 1714

თვითგანვითარებისთვის და საშემოდ. გამოცდებისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. და უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. 6—2

სულ მოკლე ხანში

ვასწორებ

ხელს წერაში

რუსულ და ქართულ ენებზე

პროფ. კოსოდოს მეთოდით.

ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.

4688

ჟურნალი

„აგიტატორი“

ჟურნალ „სოფლის კომუნისტი“-ს მაგიერ 1 აპრილიდან გამოვა საქ. კომ. პარტიის ც. ცენტრ. კომიტეტის აგიტაციისა და მასიური კამპანიის განყოფილების ორკვირეული ჟურნალი „აგიტატორი“

ჟურნალის მიზანს შეადგენს ძირითად პარტორგანიზაციებსა და მასიურ მუშაკებს მიაწოდოს მ ა ს ა ლ ე ბ ი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სამეურნეო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

„აგიტატორი“ განსაკუთრებულ ადგილს დაუთმობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანების გაშუქებას. მასიურ მუშაობის სხვადასხვა სახის განხილვით სოციალიზმის მშენებლობისა და კულტურული რევოლიუციის ყველა საკითხებზე დღიური მუშაობისათვის საჭირო ცნობების მიწოდებით. ეს ჟურნალი აუცილებელი სახელმძღვანელო იქნება სოფლისა და ქალაქის აქტივისათვის, რომელიც უნდა ცდილობდეს ჟურნალის ფართოდ გამოყენებას და გავრცელებას.

ჟურნალის ფასი: ერთი წლით—4 მან., ნახევარი წლით—2 მან., 3 თვით—1 მან., ცალკე ნომერი—20 კაპ.

ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“-ს 1930 წ. წლიური ხელმომწერლები „აგიტატორს“ მიიღებენ 6 თვით. დანარჩენისათვის საფასური დამატებით უნდა იქნეს გადმოგზავნილი. ხელისმოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: საქ. კ.პ. (ბ) ცეკა, ჟურნალ „აგიტატორისათვის“.

რუსთაველის თეატრი

კვირა 30 მარტი

კავშირებისათვის

კირშონი

ქართა ქალაქი

3 ნაწ. და 16 სურ. თარგ. შანშიაშვილის და ბოკერიასი

შეღავათიან ბილეთებზე შეკვეთა მიიღება თეატრის სალაროში.

საქართვ. წითელი ჯვრის

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)

საავადმყოფო და პოლიკლინიკა

კამოს ქ. № 54, ხანაძიოო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
ს ა მ ე ა ნ ო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ლამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხატრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,

მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)

რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.

პ ო ლ ი კ ლ ი ნ ი კ ა:

ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვესელევზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—3 საათამდე.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინეტი 11—1 ს. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
იმავე კაბინეტში კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. პონდოევი 3—5 საათამდე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ ერთი მან.

17—1

ქალ. ქუთაისის და მისი რაიონის სასამართლ. აღმასრ.

დ. ა შ ო რ დ ი ა

ამით აცხადებს რომ 1930 წ. 15 აპრილს დილით 12 საათზე ქუთაისში, ვაშეყმაძის და დალაქაშვილის ქუჩის შესახვევში № /, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერაფიონ ჯიქიას ერთ სართულიან სახლს ქვეშ ქვიტკირის სარდაფით სამი საცხოვრებელი ოთახით, დახურულს კრამიტით. სახლი დადგმულია 50 კვად. საჟენ მიწაზე, შეფასებულია რვაას (800 მან.) და იყიდება მოსკოვის უძრავი ქონების სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად მოსკოვის სასამართლოს მიერ მოცემული აღმასრულებელი ფურცლის 26 მაისის 1926 წ. № 2913. მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ, სამოქ. საპ. კ. 311 და 312 მუხ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 547

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მახაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—

გ. ნ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ, თუმანოვის ქუჩის კუთხე) 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს. ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— ქორწ. მოწმ.—ვლადიმერ ჩირგაძის და ალექსანდრა ჭელიძის სახ. 1786
— საწევრო წიგნ. გაცემ. ამ. კავშ. რკ. გზ. კავშირიდან - პეტრე მიხეილის-ძე წულაიას სახ. № 1162. 1785
— პირად. უვადო მოწმ. სენაკის მაზრმილიციის მიერ გაცემ. თომა კიკნაველიძის სახელზე. 1784
— პირად. მოწმ. № 1—ისაკ ბინიაშვილის სახელზე. 1703
— კოოპ. საწ. წიგნ. № 334 - იაგორ სახეიშვილის სახელზე. 1703
— პარტ. საწ. წიგნ. № 090783 – ნიკოლოზ მერმანიშვილის სახ. 1710
— პურის წიგნ. № 1755- ქეთო ლეშკაშელის სახელზე. 1792
— კავშ. წიგნ. № 88—გერონტი დეკანოზიძეს სახელზე. 1794
— მუშკოოპის წიგნ. № 65414—ლუსიკ სტეფანოვას სახელზე. 1787
— პირად. მოწმ. რ. 52/9614 და რკ. გზ. კავშ. № 12860—როსტიაშვილის სახელზე. 1783
— მუშკ. საწ. წიგნ. № 7889 და № 25092—შიო სოლომონის-ძე ოთარაშვილის სახელზე. 1781
— კავშ. წიგნ. № 13/37626 - ალექსანდრე ვაჩეიშვილის სახელზე. 1717

განუსაზღვრელი მწუხარებით გულმოკლულნი მეუღლე ვარვარა, შვილები ქეთო და ჟორჟი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 26 მარტს, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს, ტრაგიკულად დაიღუპა დაუფასებელი და უძვირფასესი

დავით ნიკოლოზის ძე ჩეჩელაშვილი

დაკრძალვა დღეს, 30 მარტს, ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 4 ს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან რუსთაველის პრ. № 26. 1745

მოულოდნელი მწუხარებით გულდათუთქული ელიზბარ პოლუმორდვინოვი მეუღლე თინათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ოთხშაბათს ა. წ. 26 მარტს, ტრაგიკულად დაიღუპა პირველის უსაყვარლესი სიმამრი, მეორის უტკბილესი მამა

დავით ნიკოლოზის ძე ჩეჩელაშვილი

დაკრძალვა დღეს, 30 მარტს, ვერის ახალ სასაფლაოზე, დღის 4 ს. გამოსვენება რუსთაველის პრ. № 26. 1745

მწუხარებით აღსავსენი ვლადიმერ, ოლია, ბათუ (შოთა) შალიკაშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 26 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა პირველის საყვარელი ქვისლი, მეორის სიძე და მესამის ბიძა

დავით ნიკოლოზის ძე ჩეჩელაშვილი

დაკრძალვა დღეს, ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 4 ს. გამოსვენება რუსთაველის პრ. № 26. 1745

თავზარდაცემულნი ქიქიკო, ელიჩკა, ნუსია და გივი ახვლედიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა პირველის დაუფასებელი ცოლის ძმა, მეორის მომავალი ძმა და დანარჩენთა საყვარელი ბიძა

დავით ნიკოლოზის ძე ჩეჩელაშვილი

დაკრძალვა დღეს, ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 4 ს. გამოსვენება რუსთაველის პრ. № 26. 1745

მწუხარებით გულმოკლული მერი ტყემალაძე ვაუწყებ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის ქეთო ჩეჩელაშვილის მამის

დავით ნიკოლოზის ძის ჩეჩელაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა დღეს, 30 მარტს, დღის 4 ს. გამოსვენება საკ. ბინიდან—რუსთაველის პრ. № 26. 1745

ღრმად დამწუხრებულნი მიხაკო და დესპინე კიკნაძეები შვილებით, შალვა ცოლით ვენერათი, მარო (ტიტიკო) ქმრით კლიმენტი ყიფიანით, ბაბუცა ქმრით ევსევი შალიკაშვილით, კატუშა ქმრით გენნადი დონაძით და ვერა კიკნაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 26 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის საყვარელი სიძე

დათიკო ჩეჩელაშვილი

დაკრძალვა დღეს. 30 მარტს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან რუსთაველის პრ. № 26. 1793

მოძრაობის მეორე განყოფილების სათადარიგო ქმედები ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 26 მარტს სამსახურის ასრულების დროს სად. ძეგვში ტრაგიკულად დაიღუპა მათი საყვარელი ამხანაგი

დავით მიხეილის-ძე ჩეჩელაშვილი

ბიძია აკაკი და ბიცოლა თამრო შვილებით თინა, გოგი და ლენათი აუწყებენ ყველა ნაცნობ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, უდროოთ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი მე-9 ჯგუფის მოწაფე

ჟორჟი ილიას-ძე მეგუკე

დასაფლავება 30 მარტს, ქ. ხონში. 1782

ბიცოლა ანეტა, ბიძია ევტიხი შვილებით: ვახტანგი, ჟუჟუნა, მირიანი და მარიამ მებუკეები, უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

გიორგი ილიას ძე მეგუკის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ქ. ხონში. 1712

უზომოთ დამწუხრებული შვილები: კირილე, ალექსანდრე, ექიმი პავლე, მეთოდი, გოლა, ალექსანდრე თავიანთ ცოლშვილით, ქალიშვილი პელო თავისი ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უძვირფასესი დედის

მარიამ დარისპანის ას. კავილაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ლახუნდარაში, 30 მარტს. 1790

კვირას, 30 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

მათე ანდრიას-ძე და სერგო მათეს-ძე ჯანელიძეების

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს გულმოკლულნი ქირისუფალნი. 1779

თავზარდაცემული მშობლები: შალიკო და კატო ალავერდაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ერთად-ერთი შვილი პატარა

თენგიზი

დაკრძალვა ქ. სიღნაღში დღეს, 30 მარტს. (ს)

სამუდამო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: თებრო და ივანე, ძმა კოლა, რძალი ნინა შვილებით: ნატო და რევაზი, და ლუბა სესიაშვილები—იუწყებიან, რომ 30 მარტს საღ. 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ალექსანდრე ივანეს ძე სესიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1716

და ანა, სიძე იოსები თანდილაშვილები შვილებით, შაქროთი და ლიზიკოთი მწუხარებით იუწყებიან, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1788

დამწუხრებულნი: დაი ქსენია, ქმარი ნიკო, შვილი ვანო მჭედლიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 30 მარტს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1718

ნინო და იოსები ჩიტოშვილები, შვილებით: შალვა, ილია, დავითი და ზურაბით იუწყებიან, რომ 30 მარტს საღ. 5 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ ჟამს დაუვიწყარ საყვარელი ძმის, ცოლის ძმის და ბიძის

ალექსანდრე სესიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1716

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვანო, შვილები: მარგალიტა და შოთა, დები სათენიკა და მაკა აუწყებენ საზოგადოებას უსაყვარლესი

ვართანუშა იტრიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, პლეხანოვის პროსპ. № 106. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 543

გულდაწყვეტილი მაზლები: ვანო, ვასო და ვანო, მაზლის ცოლები: კატუშა, მანია და მარო იტრიევები მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი რძლის

ვართანუშა იტრიევის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1713

ტირაჟი—56.020

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ქამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904